# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალ-ხის გაცდენა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 5 აპრილი. 2024 წ. №41 (9721) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი





**არასამთავრობო სექტორის დაფინანსების 90 პროცენტზე მეტი გაუმჭვირვალეა!**

გამჭვირვალე უბედურება...

# პარლამენტი - შეშლილი ავადმყოფების სალაყბო!

კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ მიღების აუცილებლობა უმრავლესობის თაოსნობით პოლიტიკურ დღის წესრიგში ისევ დაბრუნდა. მიზეზი, ქვეყანაში არასამთავრობო სექტორისთვის სხვადასხვა დონორების მიერ გადმორიცხული დიდი ოდენობით ფულია, რომლის გახარჯვაც, შავი ფულის სახით, გრანტის მიზნებს სცდება და უმეტესად პოლიტიკური, ანტისახელმწიფოებრივი დანიშნულება აქვს. აღნიშნული კანონპროექტით უცხოურ ძალად ითვლება უცხო სახელმწიფო, უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი; სუბიექტად განიხილება — უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია.

კანონი ფარავს არასამეწარმეო იურიდიულ პირს და მედიას, რომლის შემოსავლის 20%-ზე მეტი უცხოეთიდანაა. კანონი ორგანიზაციას ავალდებულებს, რომ ორგანიზაციამ ყოველი წლის იანვარში წინა წლის შემოსავლების და ხარჯების დეკლარირება მოახდინოს. დეკლარაციის წარუდგენლობისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა, 25 000 ლარი. კანონის მიღების შემდეგ — ის ორგანიზაციები, რომელთა შემოსავლების 20%-ზე მეტი, 2023 წლის მონაცემებით უცხოეთიდან იყო მიღებული, ვალდებული იქნებიან, კანონის ამოქმედებიდან 3 თვეში წარადგინონ 2023 წლის დეკლარაცია.


იხ. 7 გვ.


**ექსტრემიზმის დაფინანსების კონკრეტული ფაქტორები და რევოლუციური ამოცანების მხარდაჭერა – „ქართული ოცნება“ FARA-ს კანონპროექტს აინიცირებს**




პეტრე მამრაძე:

**„ქართულო ოცნებავ“ — გთხოვთ, წარუდგინოთ ევროპას ჯეროვანი მტკიცებულებანი!** ③

რამაზ საყვარელიძე:

**რეიგანმა რუსეთი მულტიპლიკაციური ფილმებით გააგიჟა და... დაანგრია!** ④

ეს ჩვენი მიწა-წყალია!

**ცხინვალური დრამის ⑥ ეპიკური განვითარება**

ირმა სოხაძე, გია მაჭარაშვილი:

**არ გვსურს, სიმღერა „გაიღიმე“ ⑫ პოლიტიკასთან ასოცირდებოდეს, ამიტომ, ვკრძალავთ...**



**მთავრობამ პრეზიდენტს ② ლიეტუვაში ვიზიტის უფლება არ მისცა!!!**



⑧

**გერმანიაში უკრაინის ომის გაყინვის სურვილი იზრდება!**

## მამუკა მდინარაძე:
# მადლობა რობინ დანიგანს!

**შარშანდელისგან განსხვავებით, აბსოლუტურად სხვა რიტორიკაა წელს. გაისად კიდევ უფრო რბილი რიტორიკა იქნება, უფრო კარგად ავუხსნით, უფრო კარგად გაიგებს ყველა, რამდენად მართლები ვართ,** — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით განაცხადა.



მდინარაძის თქმით, პერსონალურად მადლობას უხდის საქართველოში აშშ-ის ელჩს, რობინ დანიგანს, ვინაიდან, შარშანდელისგან განსხვავებით, აშშ-დან მოზომილი განცხადება გაკეთდა. ევროპული განცხადება გაცილებით მოზომილია.

* * *

**ლევან ბერძენიშვილის განცხადება პირდაპირი აღიარებაა, რომ დონორების ფული იხარჯება პოლიტიკური საქმიანობისთვის.**

ისინი აღიარებენ, რომ დონორების ფული იხარჯება პოლიტიკური საქმიანობისთვის, პირდაპირი აღიარებაა, ანუ, არალეგიტიმური ფულია. კაცს პირდაპირ უღიარებია, რომ პოლიტიკას პრობლემა შეექმნებაო, მეტი აღიარება რა გინდათ?

მდინარაძეს ჰკითხეს ლევან ბერძენიშვილის განცხადებაზე, რომელმაც თქვა: „გამჭვირვალობაზე პროექტს თუ გაიტანენ, ჩათვალეთ, არჩევნები აღარ ჩატარდება, მათ რიგებში, ვინც თურმე 20%-ით ფინანსდება, აღმოჩნდება ნახევარი პოლიტიკური ისტებლიშმენტი“.

მდინარაძის თქმით, დასამალი თუ არაფერი აქვთ, დეკლარაცია უნდა შეავსონ და ყველაფერი დასრულდება.

## დიმიტრი ხუნდაძე:
# ოპოზიციას პასუხი არა აქვს, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტში რა არის რუსული!..



„ხალხის ძალის“ გენერალური მდივანი **დიმიტრი ხუნდაძე** აცხადებს, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ... კანონპროექტთან დაკავშირებით, ოპოზიციას არგუმენტები არა აქვს, თუ რატომ არის აღნიშნული კანონპროექტში „რუსული.“

ხუნდაძის შეფასებით, საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა იყოს, უცხოეთიდან შემოსული თანხები სად იხარჯება.

**„ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ოპოზიციას არგუმენტები არ აქვს და იძახის, რომ (კანონპროექტი) „რუსულია,“ მაგრამ დღესაც მას არ აქვს პასუხი, რა არის მასში რუსული. შეგვიძლია კიდევ რამდენიმე დღე დაველოდოთ და იქნებ გვითხრან, რა არის „რუსული.“**

**იქნებ, მართლაც არის რაღაც საეჭვო და ჩვენც დავფიქრდეთ, მაგრამ იქ არაფერია საეჭვო. ერთადერთი რამ არის, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, უცხოეთიდან შემოსული ფული რაში, რამდენი და ვისგან მოწოდებული იხარჯება. თუკი ევროპაში უკვე დაინიცირებულია ეს კანონპროექტი და საფრანგეთში იღებენ მას, თუ იქ არის ამერიკულ-ბრიტანული, მაშინ ეს რატომ არის რუსული საქართველოში?!“,** — განაცხადა **ხუნდაძემ.**

## სოზარ სუბარი:
# ორმაგი სტანდარტი დაუშვებელია! ღამე სიარული უყვარს ქურდს!

**მეგობრებს არაფერი აქვთ დასამალი. ღამე სიარული უყვარს ქურდს და მტერს. ვისაც კარგი მიზნები აქვს, გამჭვირვალობის ახალი ფანჯარა უნდა უხაროდეს, ვისაც ცუდი, მათთვის კანონის მიღება ცუდი იქნება, თუმცა კანონს აუცილებლად მივიღებთ,** — ამის შესახებ პარტია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარემ **სოზარ სუბარმა** „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით განაცხადა.



რაც შეეხება ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის პრესსპიკერის პიტერ სტანოს განცხადებას, სუბარის თქმით, ორმაგი სტანდარტი, დისკრიმინაციული მიდგომა და ზემოდან ყურება დაუშვებელია ნებისმიერი პირისგან.

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის პრესსპიკერის პიტერ სტანოს განცხადების თანახმად, ევროკავშირი წუხილს გამოთქვამს, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონპროექტი, 2023 წლის მარტში საზოგადოების და საერთაშორისო მძაფრი რეაქციის მიუხედავად, კვლავ განიხილება.

## თეა წულუკიანი:
# კვოტირების გაუქმებით ჩვენს პარტიაში არაფერი დააკლდება ქალთა მონაწილეობის მაღალ ხარისხს!

**დარწმუნებული ვარ, კვოტირების გაუქმებით ჩვენს პარტიაში არაფერი დააკლდება ქალთა მონაწილეობის იმ მაღალ ხარისხს, რასაც „ქართული ოცნების“ საქმიანობის შედეგად ყველამ ერთად მივაღწიეთ,** — ამის შესახებ საქართველოს კულტურის მინისტრმა **თეა წულუკიანმა** განაცხადა.



თეა წულუკიანს კითხვა დაუსვეს სავალდებულო გენდერული კვოტირების გაუქმებასთან დაკავშირებით „გირჩის“ საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომელსაც „ქართული ოცნება“ მხარს უჭერს.

**„რა თქმა უნდა, ეს დასანანია, მაგრამ გასაგებია ის პრეისტორია და პოლიტიკური მიზეზები, რის გამოც აღნიშნული ინიციატივა წარმოიშვა. დარწმუნებული ვარ, ჩვენს პარტიაში, და იმედი მაქვს, სხვა პარტიებშიც, ამით არაფერი დააკლდება ქალთა მონაწილეობის იმ მაღალ ხარისხს, რასაც „ქართული ოცნების“ ბოლო 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში საქმიანობის შედეგად ყველამ ერთად მივაღწიეთ“,** — აღნიშნა **თეა წულუკიანმა.**

# „ქალები მხოლოდ „ბუტკაში“ არ არიან“!

**ქალები მხოლოდ „ბუტკაში“ არ არიან** — ასე პასუხობს **პრეზიდენტი** გენდერული კვოტების გაუქმების შესახებ „ოცნების“ გადაწყვეტილებას. სალომე ზურაბიშვილი არ მალავს, რომ ათონელის სასახლეში დღეს (გუშინ, **რედ**) გამართულ შეხვედრაზე ოპოზიციონერ ქალებთან აღნიშნულ საკითხზეც იმსჯელებს.



**ქალებს ველოდები იმისთვის, რომ „ბუტკაში“ არ არიან მხოლოდ...,** — ამბობს **სალომე ზურაბიშვილი.**

„ქართულმა ოცნებამ“ ქალების სიაში ჩასმის ვალდებულება ისე გააუქმა, რომ აზრი ქალ დეპუტატებსაც კი არ ჰკითხა. ეს გადაწყვეტილება კი „გირჩის“ და „ოცნების“ პოლიტიკური ვაჭრობის შედეგია. ქალების კვოტების გაუქმების სანაცვლოდ „ოცნება“ ცესკოს თავმჯდომარის არჩევის დროს „გირჩი“ მხადაჭერას მიიღებს.

# „უზრდელო“, „ნაგავო“ - დაპირისპირება გრძელდება...

**ხმაურის, დაპირისპირების და მძიმე პოლიტიკური განცხადებების ფონზე მიმდინარეობდა საქართველოს პარლამენტში ქალთა კვოტირების შესახებ კანონპროექტის განხილვა.**

რეპლიკებით ერთმანეთს ხატია დეკანოიძემ და „გირჩის“ დეპუტატებმა მიმართეს. დეკანოიძემ ვახო მეგრელიშვილს „ჰარემის“ შესახებ გაკეთებული განცხადების გამო „უზრდელი“ და „ნაგავი“ უწოდა, რასაც დარბაზში ხმაური და სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა.

ცნობისთვის, როდესაც გენდერული კვოტირების გაუქმების შესახებ კანონპროექტს განიხილავდნენ „გირჩის“ დეპუტატმა ვახტანგ მეგრელიშვილმა განაცხადა, რომ „მაგრად „გამისწორდებოდა“, უმრავლესობა ქალები რომ იყოთ პოლიტიკაში, ბევრად სასიამოვნოდ გავატარებდი დროს საპირისპირო სქესის ადამიანებთან, მაგრამ არ არის, რა ვქნა? ძალით ხომ არ მოვიყვანთ?! ჩემი სიამოვნებისთვის ჰარემს ხომ არ გავაკეთებ?“.

პარლამენტი, პლენარული სხდომის ფორმატში, სავალდებულო გენდერული კვოტირების გაუქმების შესახებ „გირჩის“ საკანონმდებლო ინიციატივას მეორე მოსმენით, მუხლობრივად იხილავდა.

## გიორგი კალანდარიშვილი:
# კანონის მიხედვით რელიგიურ ორგანიზაციებში საარჩევნო უბნის განთავსება არ შეიძლება!

**ცესკოს თავმჯდომარის გიორგი კალანდარიშვილის განაცხადებით, უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის საარჩევნო უბნების გახსნას თავისი პროცედურები და საფუძვლები აქვს.**

როგორც კალანდარიშვილმა განმარტა, საარჩევნო უბნის გახსნისთვის საჭიროა, რომ საკონსულო აღრიცხვაზე იყოს, სულ მცირე, 50 ადამიანი. მისივე თქმით, შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი სადაც იქნება, საარჩევნო უბნები ყველგან გაიხსნება.



**„კანონი ითვალისწინებს მთელ რიგ პროცედურებს. საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი არანაკლებ 50 და არაუმეტეს 3 000 მოქალაქე არის საფუძველი იმისა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სათანადო უბნები შექმნას. სადაც იქნება შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და შესაბამისი უწყებიდან მოგვეწოდება ინფორმაცია ამის შესახებ, რა თქმა უნდა, ინსტიტუცია ყველაფერს გააკეთებს. თუ გინდათ, პირობად მიიღეთ — სადაც იქნება საფუძველი, ყველგან შეიქმნება საარჩევნო უბნები შესაბამისი შესაძლებლობის ფარგლებში“,** — განაცხადა **გიორგი კალანდარიშვილმა.**

კითხვაზე, რამდენად არის მზად ცესკო, რომ საარჩევნო უბნების გასახსნელად მის საკუთრებაში არსებული ტერიტორიები გამოიყენოს, გიორგი კალანდარიშვილმა აღნიშნა: „ჩვენ არანაირი ტერიტორია არ გვაქვს საკუთრებაში, არც ქვეყნის შიგნით და არც უცხოეთში. ამ პროცესში ბევრი უწყება მონაწილეობს. კანონმდებლობა მიუთითებს, რომ იმავე რელიგიურ ორგანიზაციებში საარჩევნო უბნის განთავსება არ შეიძლება. განსაზღვრულია სია, სად შეიძლება განთავდეს და სად — არა. უცხოეთში უბნების გახსნასთან დაკავშირებულ საკითხებზე შესაბამისი ზომები მიღებული იქნება დიპლომატიურ წარმომადგენლებთან მჭიდრო კომუნიკაციით“.

# საქართველოს დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელი შალვა ლომიძე თანამდებობიდან გათავისუფლდა

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის ბრძანება მთავრობის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

**„საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გათავისუფლდეს დაზვერვის გენერალ-მაიორი შალვა ლომიძე საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან“,** — ნათქვამია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებაში.

# მთავრობამ პრეზიდენტს ლიეტუვაში ვიზიტის უფლება არ მისცა!!!

**საქართველოს მთავრობამ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს ლიეტუვაში სამუშაო ვიზიტით წასვლაზე უარი უთხრა. პრეზიდენტი ვიზიტს 10 აპრილიდან 12 აპრილის ჩათვლით გეგმავდა.**

განკარგულებას ხელს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე აწერს. პრეზიდენტმა მთავრობას შესაბამისი თანხმობისთვის 27 მარტს მიმართა.

**გაემგზავრება პირადი ხარჯებით ზურაბიშვილი ლიეტუვაში? ეს ჯერ უცნობია!**

**ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა მთავრობა პრეზიდენტს უცხოეთში ვიზიტზე უარს ეუბნება. ევროკავშირის ქვეყნებში მთავრობის ნებართვის გარეშე წასვლის გამო „ქართულმა ოცნებამ“ თავის დროზე პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურაც წამოიწყო.**

# ბუნდესტაგის შემდეგ ძებნილი ადეიშვილი ჰააგაში იყო!..





## პეტრე მამრაძე:

# „ქართულო ოცნებავ“ - გთხოვთ, წარუდგინოთ ევროპას ჯეროვანი მტკიცებულებანი!

**ზურაბ ადეიშვილი უკვე მერამდენედ გახდა თავსატეხი საქართველოს ხელისუფლებისთვის. ბელგიასა და გერმანიის ბუნდესტაგში სტუმრობის შემდეგ ძებნილი ყოფილი გენპროკურორი და იუსტიციის ყოფილი მინისტრი ამჯერად უკვე ჰააგაშია კონფერენციაზე, სახელწოდებით „სამართლიანობის აღდგენა უკრაინისთვის“. ადეიშვილი სამართლიანობაზე ზრუნავს მაშინ, როცა საქართველოში ამის საწინააღმდეგოს აკეთებდა. ტელეკომპანია „იბერიის“ ხელში ჩაგდება, ღვინის ქარხნის მიტაცება, კობა დავითაშვილის გატაცება და მასზე ძალადობა, ბუტა რობაქიძის მკვლელობის დანაშაულის დაფარვა, 7 ნოემბრის ძალადობა, – საქართველოში ამ და სხვა საქმეებს ედავებიან ადეიშვილს. მისი დაკავებისა და საქართველოში ექსტრადირების მიზნით საქართველოს პროკურატურამ ჰოლანდიის კომპეტენტურ უწყებებს უკვე მიმართა.**

**ვინ იყო ადეიშვილი საქართველოსთვის, ამის შესახებ დღეს „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე საუბრობს.**

---

**– თქვენ გაინტერესებთ, რატომ არ მოხერხდა აქამდე ადეიშვილის ექსტრადირება, – ამ საკითხით ჯერ კიდევ მაშინ დავინტერესდი, როცა პარლამენტმა ცნო თავისი უფლებამოსილება 2012 წლის 21 ოქტომბერს. მას შემდეგ მალევე მოხდა ახალი მთავრობის ფორმირება, პრემიერი გახდა ბიძინა ივანიშვილი, ერთი წელი იყო პრემიერად და შემდეგ უკვე მმართველ გუნდს წარმოადგენდა „ქართული ოცნება“.**

იმ პერიოდში დავინტერესდი, რა ხდებოდა სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების მიმართ, რატომ არ იყო გამოძიებული რიგი საქმეები და მინდა, გითხრათ, რომ ზოგიერთ კითხვაზე დღესაც არ მაქვს პასუხი. ორი რამ დავადგინე, პირველი ის, რომ იმ პერიოდში განწყობა იყო, რომ ეს არ ჩაეთვალათ პოლიტიკურ დევნად, რადგან სააკაშვილს და მის გუნდს ძლიერი, გავლენიანი ლობისტები ჰყავდათ. იქნებოდა ეს ყველაზე ხალხმრავალი და ძლიერი „სახალხო პარტია“ ევროპარლამენტში, სენატორების და კონგრესმენების ნაწილი შეერთებულ შტატებში, ევროპის ხელისუფლებაში. ეს ნამდვილად ასე იყო. თუმცა იყვნენ ისეთნიც დასავლეთში, რომლებიც ღიად წერდნენ, რომ ეს არის დამნაშავე რეჟიმი, მაშინდელმა ევროპის საბჭოს კომისარმა ადამიანის უფლებებში წერილიც კი მოიწერა, იმედია, ახლა მაინც დასჯიან კანონის სრული ძალით სააკაშვილს და მის თანამზრახველებს შესაბამისი გამოძიების შემდეგო.

მეორე ფაქტორი იყო ის, რომ იმ ეკლექტურ გაერთიანებაში, რომელსაც მაშინ წარმოადგენდა „ქართული ოცნება“, ეს ექვსი პარტიისგან შემდგარი კოალიცია, იქ შედიოდნენ „რესპუბლიკელები“, **ირაკლი ალასანია** და სხვები. **ლევან ბერძენიშვილი** პირდაპირ, საჯაროდ ამბობდა, სააკაშვილის არათუ დაპატიმრება, საქმის აღძვრაც კი არ შეიძლება მის წინააღმდეგ, ვინაიდან ის გაცილებით უფრო პოპულარულია, ვიდრე მთელი საქართველო ერთად აღებულიო.

მახსენდება ივანიშვილის ცნობილი განცხადება, თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ, როგორი პრესინგი იყო დასავლეთის მხრიდან პირველ წლებში ჩვენზე, რომ არ შეიძლებოდა სააკაშვილის და მისი თანამზრახველებისთვის ხელის ხლება. სინამდვილეში, პირდაპირ ივანიშვილზე კი არ იყო პრესინგი, არამედ პრესინგი იყო ეკლექტურ „ქართულ ოცნებაში“ შემავალი ადამიანების მეშვეობით, რომლებიც ივანიშვილს ეუბნებოდნენ, ჩვენ მუდმივი კონტაქტი გვაქვს უცხოელებთან და უცხოელებისგან ვიღებთ ამ დავალებასო.



**მახსენდება ივანიშვილის ცნობილი განცხადება, თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ, როგორი პრესინგი იყო დასავლეთის მხრიდან პირველ წლებში ჩვენზე, რომ არ შეიძლებოდა სააკაშვილის და მისი თანამზრახველებისთვის ხელის ხლება. სინამდვილეში, პირდაპირ ივანიშვილზე კი არ იყო პრესინგი, არამედ პრესინგი იყო ეკლექტურ „ქართულ ოცნებაში“ შემავალი ადამიანების მეშვეობით, რომლებიც ივანიშვილს ეუბნებოდნენ, ჩვენ მუდმივი კონტაქტი გვაქვს უცხოელებთან და უცხოელებისგან ვიღებთ ამ დავალებასო.**

**– ფიქრობთ, რომ ეს ადამიანები ატყუებდნენ ბიძინა ივანიშვილს, თითქოს დასავლეთი ბლოკავდა დამნაშავე რეჟიმის გასამართლებას და მეხამრიდად ეფარებოდნენ სააკაშვილს იმის გამო, რომ მათზე კომპრომატები ჰქონდა, ან ფულადი დაინტერესება ამოძრავებდათ?**

– რა თქმა უნდა. აქ ყველაფერი იყო ერთად აღებული, ისიც, რომ ნაცებს მათ შესახებ ჰქონდათ კომპრომატები და ახლაც აქვთ, ისიც, რომ თვითონაც ეს ადამიანები ნაცები იყვნენ თავიანთი შინაარსით. მაგალითად, გავიხსენოთ ის ადამიანი, რომელიც ფანტასტიკურ სიძულვილს აფრქვევდა ივანიშვილის მიმართ და შემდეგ უკვე **თემურ ალასანიას** პატაკს აბარებდა 2020 წელს, მე ბოლო კაცი ვიქნები, ბატონო თემურ, ვინც შევა პარლამენტშიო.

**– გუბაზ სანიკიძეს გულისხმობთ?**

– დიახ, ეს ადამიანი მერე გახდა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. ამბობდა, მინდა ვიყო მილიონერიო!..



**– ეს ნიშნავს, რომ ნაცებმა ტროას ცხენები შეაგზავნეს „ქართულ ოცნებაში“ და ამით საკუთარი უსაფრთხოება მოიპოვეს?**

– არ შეაგზავნეს, თავისთავად ასე გამოვიდა, თავის დროზე ნდობით არჩეულმა პირმა – **გია ხუხაშვილმა** ურჩია ივანიშვილს, ვინ უნდა შეეყვანა „ოცნებაში“, პროდასავლური ძალები ხომ უნდა გვყავდესო?! დღეს ჩვენ ეს კარგად ვიცით, როცა თანდათან გაიწმინდა „ოცნება“, ბოლო ჯგუფმა გავრილოვის ღამის შემდეგ მიატოვა „ოცნება“. გარდა ამისა, პირველ წელს ძალოვანი სტრუქტურები, პროკურატურის ჩათვლით, უშიშროება და სხვა, ინტენსიურად იყო გავსებული ნაცების მომხრეებით. ამის გაწმენდას წლები სჭირდება. როცა ეიხმანის პროცესი იყო იერუსალიმში 1960 წელს, მაშინ ქვეყნდებოდა სტატისტიკა, ნახევარზე მეტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მართლმსაჯულებაში იყვნენ ჰიტლერის დროინდელი მოსამართლეები, გამომძიებლები, მათი გამოცვლა რთული იყო, თუმცა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ძირითადად, ისინი კარგად მუშაობდნენ.

**– თავის დროზე გაუგებრობა გამოიწვია ივანიშვილის ფრაზამ, ჩემი მთავრობის პირობებში ადეიშვილი კარგი ჩინოვნიკი იქნებოდაო. რისი მინიშნება უნდოდა ამით?**

– სხვათა შორის, ვიზიარებ ივანიშვილის ამ ცნობილ ფრაზას, რომ მის ხელისუფლებაში ადეიშვილი დანაშაულს არ ჩაიდენდა. ადეიშვილისნაირი ბიუროკრატები მიეკუთვნებიან სიტუაციურ ოპორტუნისტებს, მორგებულს ვითარებაზე. ჟვანია რასაც დაავალებდა ადეიშვილს, ის ასრულებდა. მეუბნებოდა კიდეც ზურაბ ჟვანია, რომელთანაც ვმუშაობდი, ასეთი მიკი მაუსი სარდაფში მყავს გამომწყვდეული, საღამოს რომ ვეტყვი, ახალი კანონი მჭირდება, დილით უკვე გამოაცხობს და მომცემსო.

**– დღესაც გვესმის, რომ სწორედ ადეიშვილმა ჩაატარა ე.წ. ვეტინგის სისტემა ქართულ სასამართლოში, რაც გულისხმობდა სასამართლოებზე ზეწოლას, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების იძულებას, დაეტოვებინათ სამსახური, ამასვე აკეთებს ადეიშვილი უკრაინაში?**

– ბეთანხმებით, მერაბიშვილისგან განსხვავებით, ადეიშვილი არასოდეს გამოსულა ინიციატივით. სხვათა შორის, ადეიშვილი ერთადერთი იყო სააკაშვილის ხელისუფლებაში, ვინც 2007 წელს, იმ ცემა-ტყევის შემდეგ, ვითომ რომ გადადგა სააკაშვილი, ამბობდა, მოდით, რეალურად გადავდგეთ ყველანი, მიშამ აღარ იყაროს კენჭი პრეზიდენტობაზე, ყველამ მივატოვოთ თანამდებობები და ვნახოთ, რა იქნება, მერე დავბრუნდებით ძალიან კარგადო. ანუ ადეიშვილმა იცოდა, უკეთესი იყო დროულად გასცლოდნენ სიტუაციას, ვიდრე ყველანი ციხეში წასულიყვნენ. ამდენი ჭკუა მას ჰქონდა. ამდენად, ვიზიარებ ფრაზას, რომ ადეიშვილი ივანიშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს კარგი მუშაკი იქნებოდა, ეს არანაირად არ ამართლებს ადეიშვილის დანაშაულებს, რასაც ის სხვების დავალებით ახორციელებდა, რადგან სინდისი და პრინციპები არ გააჩნდა. საქართველოდან წასული ადეიშვილი ძებნილად ჩაითვალა, სასამართლოც ჩატარდა, მაგრამ საქართველოში ინტენსიურად არ მიყვნენ ამ საქმეს. შედეგიც გამოჩნდა, ჯერ იყო და, ადეიშვილმა მიიღო დევნილის სტატუსი უნგრეთში, ამის შემდეგ უკრაინაში ამოყო თავი. უკრაინის უშიშროების საბჭოს სხდომებს ესწრებოდა ძებნილი ადეიშვილი, რადგან ზელენსკის ხელისუფლება და სააკაშვილის დამნაშავეთა მთელი ხროვა ერთად შერწყმული, კორუფციით შედუღაბებული ერთი ორგანიზმია.

**– ერთი თვის წინ ადეიშვილი უკრაინის გენპროკურორის მრჩევლის სტატუსით იმყოფებოდა ბუნდესტაგში. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ უკრაინის ხელისუფლება შეგნებულად აღიზიანებს ქართულ მხარეს, რომ ზუსტად სამართლიანობის აღმდგენის სტატუსით აგზავნის ადეიშვილს ჰააგაში. რას ფიქრობთ ამაზე?**

– უკრაინაში კადრების დიდი დეფიციტია. ადეიშვილმა მაშინვე აჩვენა თავისი გამოცდილება და უნარი უკრაინელებს. ბუჩაში დატრიალებული ტრაგედიის, შემზარავი დანაშაულის შემდეგ, რაც რუსმა სამხედროებმა ჩაიდინეს, ვგულისხმობ ჩვილი გოგონების აკვნიდან ამოყვანას და სიკვდილამდე გაუპატიურებას, ჰააგიდან რომ ჩავიდა კომისია უკრაინაში, მას ადეიშვილი დახვდა ბუჩაში. **გია ლორთქიფანიძეც** შემთხვევით არ არის უკრაინაში დაზვერვის დირექტორის მოადგილე, საუბარია უკრაინაზე, ამხელა ქვეყანაზე, ევროპის ცენტრალურ ქვეყანაზე, არადა, ლორთქიფანიძეა მთავარი დამნაშავე-შემსრულებელი ლაფანყურის ტრაგედიაში, რაც დღემდე არ გამოუძიებია „ოცნებას“.

**– საქართველოს პროკურატურის მოთხოვნას ადეიშვილის ექსტრადირებასთან დაკავშირებით რაიმე შედეგი ექნება?**

– მეეჭვება, რადგან ამდენი დრო გავიდა და ამ ადამიანს სტატუსები მიღებული აქვს, ლტოლვილის, თუ მრჩევლის სტატუსი, შემთხვევით ხომ არ აღმოჩნდა ბუნდესტაგში. ჩვენთან ასე ჰგონიათ, ბერლინი იქნება, თუ ნიუ-იორკი, პარიზი თუ ლონდონი, დღენიადაგ ფიქრობენ საქართველოზე. საერთოდ არ არის ასეთი ინტერესი. ბუნდესტაგში ერთ კაცს ვერ იპოვით ადეიშვილზე ეჭვების მქონეს. წარადგინა უკრაინამ დელეგაციაში ეს წევრი, მორჩა და გათავდა.

ზელენსკის რომ გამოუყვანეს კანადაში ომის ვეტერანი, მებრძოლი, გახსოვთ? ტაში დაუკრეს, ზელენსკიც ფეხზე წამოუდგა, სინამდვილეში, ეს კაცი ესესელი აღმოჩნდა. ეს იყო საერთაშორისო სკანდალი. ეს არ მოხდებოდა, ძალიან ინტენსიურად რომ ემუშავა „ოცნების“ ხელისუფლებას ყველა დონეზე, ჩვენს საპარლამენტო დელეგაციას იმაზე გაემახვილებინა ყურადღება, რომ არის ასეთი დამნაშავე - ადეიშვილი და თქვენთანაც შეიძლება გამოჩნდესო. პრევენციული ზომები ჩატარებული არ იყო. ელჩმა სწორი პასუხი გასცა, არავითარი სამართლებრივი საფუძველი გერმანიას არ ჰქონდა, არ მიეღო ადეიშვილი. ამიტომაც ისმის კითხვა, აქამდე სად იყვნენ?

ხომ გახსოვთ, რა თქვა წლების წინ ცნობილმა ჟურნალისტმა **გიორგი ფოფხაძემ**, რომელიც ცხოვრობდა საფრანგეთში და დაესწრო კეზერაშვილის პროცესს. ფრანგმა მოსამართლემ მაშინ მიმართა საქართველოდან ჩასულ წარმომადგენელს, ჩვენ ეს ადამიანი დავაკავეთ, ბრალდება დავადეთ საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით, გთხოვთ, წარმოადგინეთ მტკიცებულება, რომელიც შეიძლება იყოს მისი შემდგომი დაკავების საფუძველი. თუ თქვენ ამას ახლაც არ იზამთ, მაშინ იძულებული ვიქნები, დარბაზიდან გავათავისუფლო ეს ადამიანი და ეს მოხდება პირველად ჩემს ცხოვრებაშიო.



ასე გაუშვეს კეზერაშვილი დარბაზიდან. სპეკულაციები იმაზე, რომ საქართველოდან ჩაწყობილი იყო და ადეიშვილის გავლენით მაშინდელმა პროკურატურამ არ წარადგინა მტკიცებულებები, ეს მე არ ვიცი. ფაქტია, მაშინ კეზერაშვილი გაათავისუფლეს და დღემდე დაკავებული არ არის. დღესაც ლონდონში ცხოვრობს რამდენიმე მილიონ ფუნტ სტერლინგად შეფასებულ სახლში და მილიარდერია.

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**

# რეიგანმა რუსეთი მულტიპლიკაციური ფილმებით გააგიჟა და... დაანგრია!

## რამაზ საყვარელიძე: პუტინის მიზანი საბჭოთა კავშირის აღდგენა კი არა, საბჭოთა კავშირის მასშტაბით გავლენის მოპოვებაა



**რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად, აშშ-ის პრეზიდენტი რუსეთის სტრატეგიულ მიზნად ყოფილი საბჭოთა კავშირის აღდგენას ასახელებს. ჯო ბაიდენის ამ პოზიციას იზიარებს დასავლეთი და მათ შორის უკრაინა, რომელიც უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ რუსეთის სტრატეგიული მიზანი უკრაინის დაპყრობა არ არის – ეს არის საერთაშორისო არენაზე საბჭოთა კავშირის დიდების აღდგენა. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი მის პოზიციას ვლადიმერ პუტინის ცნობილი განცხადებით ამყარებს, როდესაც მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა XX საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო.**

**არის თუ არა რუსეთის სტრატეგიული მიზანი საბჭოთა კავშირის აღდგენა – ამ საკითხებთან დაკავშირებით For.ge რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**

**– დასავლეთი ამტკიცებს, რომ რუსეთის გეგმა B არის საბჭოთა კავშირის აღდგენა, კონტროლის დამყარება ყოფილ საბჭოთა ქვეყნებზე და ომი ნატოსთან. დღეს არსებული პოლიტიკური სურათი იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ეს მიზანი ნამდვილად ასეა? კავშირის აღდგენა და ომი ნატოსთან?**

– საკამათოდ მიმაჩნია ის პოზიცია, რომ რუსეთს საბჭოთა კავშირის აღდგენა უნდა. ჩემი პოზიციაა, რომ რუსეთმა თვითონ დაანგრია საბჭოთა კავშირი და უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მთელი საბჭოთა სისტემა – 15 რესპუბლიკა და საბჭოთა სოციალისტური ბანაკი რუსეთის კმაყოფაზე იყო. პირველი – აღარ უნდოდა მათი რჩენა და მეორე – დემოგრაფიული კუთხით ექმნებოდა პრობლემა.

11 ბავშვი ჰყავს მუსულმანებს, ერთი, ორი ბავშვი ჰყავთ რუსებს. 50 წლის მერე მაგ პროპორციით მიდიოდა განვითარება და ანდროპოვის დროს გაკეთებული იყო პროგნოზი, რომ 90-იანი წლებისთვის რუსეთში უმაღლესი გენერალიტეტი იქნებოდა მუსულმანური. თუკი მუსულმანები ხელში ჩაიგდებდნენ წითელ არმიას, ეს ნიშნავდა, რომ რუსეთი აღმოჩნდებოდა პატარა ძმის როლში, ხოლო მუსულმანები გახდებოდნენ დიდი ძმები.

აი, ეს როლი რომ აეცილებინა თავიდან, ჯერ კიდევ ანდროპოვის დროს შედგა ეს გეგმა. ანდროპოვის ბრიგადის წევრი იყო გორბაჩოვიც და კაგებეს ჩართულობით მოხდა ეს ყველაფერი სწორედ იმიტომ, რომ კაგებე ხელში ჰქონდა ანდროპოვს.

**– შედეგიც კაგებეშნიკური დადგა – მოიყვანეს ბორის ელცინი...**

– რა თქმა უნდა. დააკვირდით, მერე რა მოხდა, ელცინმა თქვა, რომ არ შემიძლია სახელმწიფოს მართვაო, მიუხედავად იმისა, რომ ბრეჟნევი უფრო უარეს დღეში იყო, მაგრამ აგრძელებდა პირველ პირად მუშაობას. ელცინმა ხელები დაიბანა და გავიდა პოლიტიკიდან. ელცინის გასვლით კი ხელისუფლებაში მოვიდა პუტინი, რომელმაც რუსეთი გახადა კაგებეს დამორჩილებული. ასე რომ, კაგებეს ინტერესი ამ შემთხვევაშიც დაცულია.

**– საინტერესო დეტალია ისიც, რომ თუკი იმ ნარატივს გავყვებით, რუსეთის მიზანია საბჭოთა კავშირის აღდგენა, მაშინ ჩნდება კითხვა – რატომ არ მოინდომა ბელარუსთან და სომხეთთან კავშირის განმტკიცება?**

– თუ რუსეთს ექნებოდა საბჭოთა კავშირის აღდგენის სურვილი, ბელარუსიც სთავაზობდა გაერთიანებას და სომხეთიც. არც ერთს აყვა და არც მეორეს – რატომ? – იმიტომ, რომ არ უნდა გაერთიანება. რუსეთს უნდა უფრო თანამედროვე მიდგომა. პუტინის მიზანია არა საბჭოთა კავშირის აღდგენა, არამედ საბჭოთა კავშირის მასშტაბით გავლენის მოპოვება, იმ ქვეყნების გავლენის ქვეშ ყოლა, ვინც საბჭოთა სისტემაში შედიოდა. ეს საკმაოდ დიდი სივრცეა. თანამედროვეს იმიტომ ვამბობ, რომ ამერიკა კოლონიებს აკეთებს და ტერიტორიებს იპყრობს? – არა. ის ცდილობს, რომ გავლენის სფეროები ჰქონდეს, რაც შეიძლება დიდი. ამიტომ მგონია, რომ დღეს რუსეთი გავლენის მოპოვებაზე არის ორიენტირებული.

**– ამ მოტივით დაიწყო ომი უკრაინაში?**

– რა თქმა უნდა, ხედავდა, რომ გავლენას კარგავდა. თუ შეატყობს, რომ გავლენას მეტნაკლებად ინარჩუნებს, ასეთ შემთხვევაში, უფრო შორს, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებია, არ წავა. მას არ სჭირდება ზედმეტად თავის ატკიება. წარმოიდგინეთ, საჭოთა კავშირი რომ აღადგინოს ისევ რუსეთმა, ასეთ შემთხვევაში, უნდა არჩინოს ეს სახელმწიფოები. შეუძლია კი რჩენა? თან, ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთი სტალინის დროინდელი მოვლენა იყო და ხიშტით მართავდა ამხელა ქვეყანას. დღეს პუტინს ხიშტით გაუჭირდება მართვა, იმიტომ, რომ დასავლეთი მას სანქციებს დაუწესებს. ვხედავთ, რომ სანქციებზე შედარებით ადვილად მიდის დასავლეთი. სტალინის პერიოდი ისე გაიარა მსოფლიომ, რომ თავში არავის მოსვლია სანქციების დაწესება, ისედაც იზოლაციაში იყო საბჭოთა კავშირი და ამ იზოლაციას გაუძლო სტალინმა.

**– მაგრამ იზოლაციას გაუძლებს პუტინი?**

– გამწარებული პუტინი ჩიპებს შავ ბაზარზე ყიდულობს. ასე რომ, ვითარება საგრძნობლად განსხვავებულია საიმისოდ, რომ იგულისხმო, მას საბჭოთა კავშირის აღდგენა უნდა. ვიმეორებ, გავლენის აღდგენა უნდა, ოღონდ ისე, რომ თვითონ არაფერი გადაიხადოს. გავლენა ნიშნავს იმას, რომ მეორე სახელმწიფო შენს ჭკუაზე მოქმედებს, ოღონდ შენ იმას არაფერს უხდი. საბჭოთა კავშირის დროს რუსეთი უხდიდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკას საიმისოდ, რომ ისინი არსად გაქცეულიყვნენ. ახლა, დაინახეს ეს პერსპექტივა, რომ შეიძლება არავის არაფერი გადაუხადო და ისე გქონდეს გავლენა. რა თქმა უნდა, ურჩევნიათ, რომ არ გადაუხადონ და ისე იყოს. ამიტომ, საბჭოეთის აღდგენა, ვფიქრობ, ევროპელების ლეგენდაა.

**– როგორ ფიქრობთ, რისთვის სჭირდებათ ევროპელებს ეს ლეგენდა?**

– ჯერ ერთი იმისთვის, რომ უკვე ტრადიციული საფრთხობელა არსებობს დასავლეთში – საბჭოთა კავშირი. თვითონ რომ თქვან, საბჭოთა კავშირი აღდგებაო, ეს უკვე ნიშნავს, რომ რაღაცა ცუდი მოხდება.

**– რაში სჭირდებათ დღეს ეს საფრთხობელა?**

– მახსენდება რეიგანი, რომელიც იძახდა – საბჭოთა კავშირი არის ბოროტების იმპერიაო! მერე ამ წყევლა-კრუვლის ფონზე, მიიღო დაფინასება იმისთვის, რომ იარაღი გაეკეთებინა. შესაბამისად, ეს ფული გადაუხადა სამხედრო სამრეწველო კომპლექსს და ამით მოსპო უმუშევრობა. ერთ-ერთი გენიალური ნაბიჯი იყო უმუშევრობის მოსპობა. ამ დროს წელში გაწყვიტა რუსეთიც და სულ არ იყო რუსეთისთვის რეიგანი ხავერდოვანი, მიუხედავად იმისა, რომ რიტორიკა ჰქონდა მარტო.

მულტიპლიკაციური ფილმები ანახა იმის შესახებ, როგორ აქვს ამერიკას იარაღი კოსმოსში, რაც რუსებს სიმართლე ეგონათ. რეალურად, ეს იყო ნახატები. სამაგიეროდ, ეს ნახატები დაიჯერა რუსეთმა და დაიწყეს ტვინის ჭყლეტა იმაზე, როგორ გაჯიბრებოდნენ ამერიკას. გატყავდნენ მაგ შეჯიბრში, რადგან რეალურად თვითონ აპირებდნენ, აეტანათ კოსმოსში მთელი შეიარაღების სისტემა, რაც ძალიან დიდი ფული ჯდებოდა. მოკლედ, ძალიან გამჭრიახი ტიპი იყო რეიგანი, რომელმაც ჭკუით აჯობა საბჭოთა კავშირს, დაახარჯინა დიდი თანხები და ამ დროს თვითონ არაფერი არ გააკეთა, არც კი დაუნგრევია.

**– რატომ? ჩვენ ხომ ვიძახით, რომ რეიგანმა დაანგრია საბჭოთა კავშირი?**

– თვითონ ამერიკელები არ იძახიან, რომ რეიგანმა დაანგრიაო. აგერ, ბაიდენმა თქვა, რომ ისეთი შეცდომა არ მოგვივიდეს როგორც საბჭოთა კავშირის დაშლის დროს, როცა მხოლოდ დაშლის შემდეგ გავიგეთ, რომ იშლებოდაო. ანუ, არ იცოდნენ, რომ იშლებოდა საბჭოთა კავშირი, ისე დაიშალა. ამდენად, იმათი დაშლილი არ იყო საბჭოთა კავშირი და ეს იმაზეც ჩანს, რომ მოუმზადებელი შეხვდნენ საბჭოთა კავშირის დაშლას. არ ჰქონდათ გადაწყვეტილი, რა სტრატეგია უნდა ჰქონოდათ. მათ რომ დაეშალათ საბჭოთა კავშირი, ასეთ შემთხვევაში, იმასაც ხომ მოიფიქრებდნენ, ამა თუ იმ შემთხვევაში, რა უნდა ექნათ. ასეთი მოფიქრებული გეგმები მათ არ ჰქონდათ. ასე რომ, როგორ დაიშალა საბჭოთა კავშირი, ეს დღეს გამოკვეთილად არ არის ცნობილი.

**– დღეს, მთელი დასავლური პოლიტიკა სწორედ იმაზეა აგებული, რომ პუტინის მიზანია საბჭოთა კავშირის აღდგენა, მაგრამ რატომ უნდა, ამაზე არავინ არ საუბრობს, გარდა იმისა, რომ აცხადებენ არ უნდა დაუშვან საბჭოთა კავშირის აღდგენა...**

– არ უნდა დაუშვან, თან ბაიდენი ამბობს, რომ რუსეთი არ უნდა დაიშალოსო, რადგან ეშინია, ჩინეთი არ წამოვიდეს მეწყერივით. ამიტომ, მგონია, რომ თვითონ გარკვეული არა აქვთ რას იზამენ, ან აქვთ და ძნელი ჩასაწვდომია სიღრმეები...

ვიმეორებ, იმის თქმა, რომ პუტინს დღის წესრიგში აქვს საბჭოთა კავშირის აღდგენა, ეს მოსახლეობაზე არის გათვლილი, რადგან უკრაინის ომში მოსახლეობის მხარდაჭერა უნდა, რომელიც იკითხავს – აბა, რატომ აქვს უკრაინაში ომი, თუ საბჭოთა კავშირის აღდგენა არ უნდა და აღარ მიაქცევს ყურადღებას იმას, საბჭოთა კავშირის აღდგენა თუ უნდოდა, ბელარუსს, სომხეთს და იმ ქვეყნებს, რომლებიც ისედაც მიიწევდნენ რუსეთისკენ – მიიერთებდა. მაგრამ არ გადადგა ეს ნაბიჯი და არა იმიტომ, რომ კეთილშობილია, არამედ იმიტომ, რომ მაგის ფინანსები აღარ ჰქონდა უკვე.

აი, იძახიან, რომ ინგლისი გამოვიდა ინდოეთიდან და არ იბრძოლა თავგადადებითო, რატომ? იმიტომ, რომ დაითვალა ინგლისმა და აღმოაჩინა, რომ უფრო ძვირი უჯდება ინდოეთის შენახვა, ვიდრე ის, რომ ინდოეთზე გავლენა ჰქონდეს. ინდოეთზე გავლენა დღესაც აქვს, ოღონდ ხარჯი არა აქვს. აი, იგივე სტრატეგია არის რუსული სტრატეგია. რუსეთმა უარი თქვა ასეთ კოლონიურ სისტემაზე, იმიტომ, რომ ძვირი ჯდება და ცდილობს, რომ ეს სისტემა გავლენის სისტემად აქციოს და ფული აღარ დასჭირდეს ამ სისტემის შენარჩუნებაში.

**– მაგრამ, შეძლებს კი რუსეთი გავლენების შენარჩუნებას?**

– გავლენების შენარჩუნება თავისთავად ძნელია პუტინისთვის, ვინაიდან გავლენებზე ნადირობს დასავლეთიც და, ალბათ, გაუჭირდება რუსეთს გავლენების შენარჩუნება, თუ რაღაცა სხვა გადათამაშება არ მოხდა. არ გამოვრიცხავ, ამ გადათამაშებაში ჩინური თემის გამოჩენას. შეიძლება ჩინეთთან ურთიერთობაში ბევრი რამ კიდევ მოხდეს, რომელიც დღეისთვის არ ჩანს.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**



**....მულტიპლიკაციური ფილმები ანახა იმის შესახებ, როგორ აქვს ამერიკას იარაღი კოსმოსში, რაც რუსებს სიმართლე ეგონათ. რეალურად, ეს იყო ნახატები. სამაგიეროდ, ეს ნახატები დაიჯერა რუსეთმა და დაიწყეს ტვინის ჭყლეტა იმაზე, როგორ გაჯიბრებოდნენ ამერიკას. გატყავდნენ მაგ შეჯიბრში, რადგან რეალურად თვითონ აპირებდნენ აეტანათ კოსმოსში მთელი შეიარაღების სისტემა, რაც ძალიან დიდი ფული ჯდებოდა...**





# გეაჯებით, „დიდო პარტნიორო“!

# „ამერიკამ, როცა ზოგ რუს ოლიგარქს მოუხსნა სანქციები, ქართველმა მოსამართლეებმა რა დააშავეს?“

## „ქართული ოცნება“ სტრატეგიული პარტნიორის პასუხის მოლოდინშია – მმართველი ძალა აშშ-ს სთხოვს, ქართველი მოსამართლეები სანქცირებულთა სიიდან ამოიღოს

**მმართველ გუნდში მოლოდინი აქვთ, რომ აშშ-ის საელჩოს ახალი ადმინისტრაციის პირობებში, ქართველი მოსამართლეების სანქცირების გადაწყვეტილება გადაიხედება. სასამართლო სისტემა, უმრავლესობის წევრების განმარტებით, დამოუკიდებელი და თავისუფალია. სანქციების მოხსნასთან ერთად, „ქართული ოცნების“ წევრები მოსამართლეებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის ბოდიშის მოხდასაც ითხოვენ.**

პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** დიპლომატიური უწყებებისგან პასუხს ელოდება. შალვა პაპუაშვილის განცხადებით, სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილება, ქართველი მოსამართლეებისთვის სანქციების დაწესებაზე, დაუსაბუთებელი იყო. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელის განმარტებით, გვარამიას საქმეზე სტრასბურგის გადაწყვეტილებამ პოზიცია უფრო გაუმყარა.

„საჯარო თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა“ და „მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში ჩართვის“ მიზეზით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, 2023 წლის 5 აპრილს, სავიზო შეზღუდვა დაუწესა სამ მოქმედ და ერთ ყოფილ მოსამართლეს. **ნიკა გვარამიას** საქმის მოსამართლე **ლაშა ჩხიკვაძე** აშშ-ის საელჩოს პროგრამიდან მოხსნეს. ამ დრომდე, სავიზო შეზღუდვები მოსამართლეების ოჯახის წევრებზეც ვრცელდება.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის **მამუკა მდინარაძის** განცხადებით, იმედს იტოვებს, რომ აშშ-ის მოქმედი ელჩის პირობებში შესრულდება მოსამართლეებისთვის სანქციების მოხსნის პირობა, რაც **კელი დეგნანის** პირობებში არ იყო შესაძლებელი.

**„მე იმედს ვიტოვებ, მოქმედი ელჩის პირობებში შესრულდება ის უდავო პირობა, რაც მოსამართლეებისათვის სანქციების მოხსნას გულისხმობს. მაგალითად, ერთი ყოფილი და სამი მოქმედი მოსამართლის გარდა, ასეთივე პრაქტიკული სანქციები შეეხო ლაშა ჩხიკვაძეს. გამოვიდა ადამიანი და თქვა, რომ ჩემს შვილს ჯანმრთელობის პრობლემებიც კი შეექმნა იმ უსაფუძვლო ბრალდებების გამოო. წარმოიდგინეთ, მართალი ხარ, შენს მოვალეობას ასრულებ კეთილსინდისიერად და ისეთი ბულინგია შიგნით თუ გარეთ დაფინანსებული, ე.წ. დაბუსტული, რომ შენ კი არა, შენს შვილსაც შეეხო ფსიქოლოგიურად. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ნებისმიერი მოქალაქე, მათ შორის, მით უმეტეს დამოუკიდებელი და კეთილსინდისიერი მოსამართლეები.**

**ამიტომ, როგორც მოსამართლე ჩხიკვაძის, ისე სხვათა მიმართ უნდა მოიხსნას სანქციები, ვინაიდან ეს ცალკე დიდ, ცრუ აგრესიას წარმოშობს, მათ შორის, მოქალაქეებში, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ ფსიქოლოგიური წნეხის მსხვერპლი არიან“,** – განაცხადა **მამუკა მდინარაძემ.**



გვარამიას საქმის მოსამართლე ამერიკული პროგრამიდან მოხსნეს

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** მიიჩნევს, რომ სტრასბურგის გადაწყვეტილების შემდეგ, ამერიკამ, როგორც სტრატეგიულმა პარტნიორმა, უნდა გადახედოს სანქცირებულ მოსამართლეების სიას და მათთვის ამ სანქციების მოხსნა უნდა მოხდეს.

**„საქართველოს ხელისუფლებას დღემდე არ მიუღია კონკრეტული მტკიცებულებები იმის, თუ რის საფუძველზე მოხდა ამ მოსამართლეების დასანქცირება. ეს იყო მიკერძოებული და პოლიტიკური გადაწყვეტილება. სამწუხაროდ, კვლავ ამ ყველაფერს საფუძვლად უდევს, ანგაჟირებული ენჯეოების და ნაცოპოზიციის ანგარიში ან განცხადებები. ყველამ კარგად ვიცით, ეს ე.წ. ენჯეოშნიკები ვინ არიან და წარსულში რას საქმიანობდნენ, როგორ ახერხებენ საქართველოს ხელისუფლების პოზიციების გაშავებას დასავლეთში. იგივე მოხდა ამ მოსამართლეებთან დაკავშირებითაც. რაღაცა ჟურნალისტის ვითომ საგამოძიებო სიუჟეტის გამო მოხდა ამ მოსამართლეების დასანქცირება.**

**მაშინ ჩნდება კითხვა, გვარამიას საქმის მოსამართლე, რომელიც დასაჯეს ამ გადაწყვეტილების გამო, გამოდის თუ არა მართალი და მას ეკუთვნის თუ არა ამერიკის ვიზა? სტრასბურგის სასამართლომ ამ ადამიანის გადაწყვეტილებაში საეჭვო ვერაფერი ვერ ნახა. იმ ფონზე, როცა ზოგიერთ რუს ოლიგარქს ამერიკამ მოუხსნა სანქციები, ქართველმა მოსამართლეებმა რა დააშავეს, როცა საერთაშორისო სამართლის დონეზე მათ მიმართ კითხვები არ არსებობს?“,** – ამბობს **აბაშიძე.**

მისივე თქმით, ეს გადაწყვეტილება ასევე ეყრდნობა ანგაჟირებულ მაშინდელ ამერიკის ელჩს, კელი დეგნანს, რომელიც საქართველოს შიდა საქმეებში უსირცხვილოდ და ღიად ერეოდა. ის ბოლოს პირდაპირ „ნაციონალური მოძრაობის“ ტექსტებით საუბრობდა. რაც შეეხება ახალ ელჩს, აბაშიძე ამბობს, რომ ის ბევრად კონსტრუქციულია, თუმცა ფუჭი მოლოდინი მაინც არ უნდა შევქმნათ. ეს მაინც ადმინისტრაციის პოლიტიკის დამსახურებაა და ბევრი რამ შესაძლოა ახლანდელ ელჩზე დამოკიდებული არც იყოს.

* * *

„ხალხის ძალის“ წევრი და ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** For.ge-სთან ამბობს, რომ საფუძველი იმისა, რომ ამერიკამ შეცვალოს ეს დამოკიდებულება, არსებობს, თუმცა მოლოდინი, რომ ამერიკა ამას გააკეთებს, იმედი არ არსებობს.

**„ამერიკა ამ პოლიტიკით საქართველოსთან იმ ტოტს ჭრის, რომელზეც ზის. სამხრეთ კავკასიის რეგიონში იმ სამი რესპუბლიკიდან ერთადერთი ვართ, რომლისაც კონსტიტუციის დონეზე აქვს პროდასავლური ორიენტაცია გაცხადებული. იმის მაგივრად, რომ თავისი დასავლელი პარტნიორებისგან ჩვენი მოსახლეობა მხარდაჭერას გრძნობდეს, ჩვენს ქვეყანას ამ უსამართლობასთან გამკლავება უწევს. ეს კი ჩვენს მოსახლეობაში ანტიდასავლურ გავლენებს და განწყობას ზრდის. ეს ყველაფერი ჩვენი პარტნიორების ხელშეწყობის შედეგად ხდება. არაფერი არ უშლის ამერიკას, ევროკავშირის საელჩოს, რომ ელემენტარულად, თავისი შეცდომა აღიარონ, იგივე გვარამიას საქმის მოსამართლის ლაშა ჩხიკვაძის წინაშე. როდესაც ევროპული სასამართლო პირდაპირ ამბობს, რომ გვარამიასთან მიმართებით შეცდომა ქართულ მართლმსაჯულებას არ დაუშვია, ნებისმიერ გულწრფელ პარტნიორს ამ შეცდომის აღიარება შეუძლია. ამ მოსამართლის მიმართ დაკავშირებული უსამართლობა მაინც გააუქმონ“,** – ამბობს **ქართველიშვილი.**

მისივე თქმით, **ეს იქნება კიდევ ერთი ტესტი დასავლეთის წინაშე დასმული და პასუხი უნდა გასცენ, საქართველო არის თუ არა მათი თანასწორი პარტნიორი. თუ საქრათველოს ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილი ე.წ. პარტნიორები არიან. ქართველიშვილი ფიქრობს, რომ ყოველდღიურად ქართველებში ანტიდასავლურ განწყობებს თავად აღვივებენ.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

# საკრებულოს არჩევნების მეორე ტური შესაძლოა, აღარ გაიმართოს



**„ქართული ოცნების“ მიერ მომზადებული კანონპროექტის მიხედვით, რომელიც პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომაზე წარედგინება, მმართველი პოლიტიკური გუნდი საკრებულოს მაჟორიტარობის კანდიდატებისთვის დაწესებული 40%-იანი საარჩევნო ბარიერის გაუქმებას გეგმავს. „საარჩევნო კოდექსის“ ჯერ კიდევ მოქმედი რედაქციის თანახმად, მაჟორიტარული წესით არჩეულად ის კანდიდატი ითვლება, რომელიც ხმების 40%-ზე მეტს მიიღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევნების მეორე ტური ინიშნება. ხოლო, „ქართული ოცნების“ პროექტის მიღების შემდეგ, საკრებულოს არჩევნების მეორე ტური აღარ გაიმართება.**

**აღნიშნულთან და ზოგადად, ამა თუ იმ პარტიების პოლიტიკურ პერსპექტივასთან დაკავშირებით, For.ge ანალიტიკოსს პოლიტიკურ საკითხებში ზაალ ანჯაფარიძეს ესაუბრა.**

**ზაალ ანჯაფარიძე:** „თუ ერთი პროცენტია განსხვავება პირველ და მეორე ადგილებზე გასულთა შორის, მეორე ტურის დანიშვნა დამატებით ორგანიზაციულ და ფინანსურ ხარჯებს გამოიწვევს. მედალს ყოველთვის აქვს მეორე მხარე: როდესაც ასეთი მცირე განსხვავება არის, არავინ იცის მეორე ტურში როგორ მოიქცევა ამომრჩეველი. შესაბამისად, აქაც გარკვეული კითხვები ჩნდება, თუ რას მიენიჭოს უპირატესობა – დრო, თანხები და რესურსები დაიზოგოს თუ ამომრჩეველს კიდევ ერთხელ მიეცეს დრო, უკეთ გაიაზროს თავისი არჩევანი.

**– პარტია „საქართველოსთვის“ დეპუტატის მიხეილ დაუშვილის განცხადებით, „საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ახალი ცვლილებებით, „ოცნება“ თვითაღიარების რეჟიმშია და ამბობს, რომ „მათთვის 40%-იანი მხარდაჭერაც სერიოზული პრობლემაა“.**

– შანსები მაღალი აქვს, რადგან მმართველი გუნდია. რამდენიმე საკრებულოს გარდა, უმრავლესობა აქვს და ხელთ არის ყველა რესურსი. იქიდან გამომდინარე, რომ ოპოზიციური პარტიები ბოლო პერიოდში საკმაოდ სუსტად გამოიყურებიან, შანსები „ქართულ ოცნებას“ მეტი აქვს, ვიდრე ოპოზიციურ პარტიებს. ეს ოპოზიციის ჩვეულებრივი რიტორიკაა და განსაკუთრებული არაფერი არ უნდა ვეძებოთ.

**– მმართველი პოლიტიკური გუნდის ლიდერები კი მიიჩნევენ, რომ „ქართულ ოცნებას“ მაღალი რეიტინგი აქვს და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში, სულ მცირე 60%-ს აიღებს. რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას?**

– გამოქვეყნებულ კვლევებს რომ დავეყრდნოთ, მმართველ გუნდს სერიოზული უპირატესობა აქვს, მაგრამ კვლევები ჩვენთან არ აჩვენებს ხოლმე რეალურ სურათს და ეს არაერთხელ დამტკიცებულა არჩევნებზე. უახლოეს პერიოდში არჩევნები რომ გაიმართოს, „ქართული ოცნება“ აუცილებლად მოიგებდა სერიოზული უპირატესობით, იქიდან გამომდინარე, თუ რა ფორმაშია ოპოზიცია.

**– ოპოზიციურ სპექტრში ვის რა პოლიტიკური პერსპექტივა აქვს მიმდინარე წლის არჩევნებში, თქვენ რას ფიქრობთ?**

– დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, გაჭირვებით შეიძლება გადალახონ ბარიერი სხვებმა. ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ არის გახარიას პარტია და „ლელო.“

**რაც შეეხება ნიკა მელიასა და ნიკა გვარამიას „ახალს?“**

– დიდ დივიდენდებს „ახალზე“ ვერ გავცემდი, რადგან ეს პარტია საზოგადოების თვალში აღიქმება როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ მორიგი განაყოფი. ელექტორალური ველი, სადაც მათ შეუძლიათ „ინადირონ“, ეს არის „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველი და ოპოზიციურად განწყობილი ახალგაზრდების რაღაც ნაწილი. თუმცა, ამ პარტიის ლიდერების ბიოგრაფიიდან გამომდინარე, არ მგონია მათ სერიოზული ელექტორალური მონაპოვარის იმედი ჰქონდეთ. რამდენს წაართმევენ „ნაციონალურ მოძრაობას,“ რთულია საუბარი.

**– მიიჩნევთ, რომ შანსი იმისა, „ნაცმოძრაობის“ რეიტინგს „ახალი“ დაეწიოს, დაბალია?**

– ახალი ხელმძღვანელობის და მენეჯმენტის პირობებში, არავითარი წინაპირობა არ არსებობს, რომ მათმა რეიტინგმა მოიმატოს. არ გამოვრიცხავდი მათი პარტიის დაშლის სცენარს. არც ერთი მათგანი (ნიკა მელია და ნიკა გვარამია) არ არის კომპრომისისკენ მიდრეკილი, პირიქით – შესაძლოა, განხეთქილებებმა იჩინოს თავი არჩევნების მოახლოების კვალობაზე.

**– კონკრეტული ოპოზიციური პარტიების გაერთიანების შესაძლებლობას გამორიცხავთ?**

– გვარამია-მელიასთან გაერთიანებას სხვა ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც დღენიადაგ იმას აცხადებენ, რომ „ნაცმოძრაობისგან“ დისტანცირება უნდათ, თუნდაც გახარიას პარტიას, „ახალთან“ გაერთიანება რეპუტაციულად დააზიანებს, მაგრამ პოლიტიკა ისეთი პროცესია, ხანდახან გიწევს ისეთ ვინმესთან დადგომა, რომელთანაც ადრე არ დადგებოდი.

თუმცა, ამ შემთხვევაში, როდესაც გაცხადებული აქვს, რომ „ნაცმოძრაობასთან“ არ ითანამშრომლებს და შემდეგ უცებ შეცვალოს გადაწყვეტილება, ეს მისსავე ამომრჩეველს დააფრთხობს და ნეგატიურად განაწყობს. გახარიას პარტია მიიჩნევა ისეთ პარტიად, რომელიც სწორედ ამაზე აგებს თავის საარჩევნო კამპანიას – არც „ნაცები“ და არც „ქოცები“ და ასეთი მკვეთრი ზიგ-ზაგი არ მგონია მათ სასარგებლოდ მოქმედებდეს.

ესაუბრა
**ნიკო ჩოხელი**



# ცხინვალური დრამის ეპიკური განვითარება

**სამი ოსი „დეპუტატისთვის“ რუსეთის მოქალაქეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებულმა დრამამ, რომელიც ცხინვალის რეგიონში მარტის დასაწყისში დატრიალდა, მოსალოდნელი, თითქმის ეპიკური განვითარება ჰპოვა. 27 მარტს გარი მულდაროვი, დავით სანაკოევი და ძამბოლატ მედოევი რუსეთის ფედერაციაში არ შეუშვეს. რუსეთის მოქალაქეობაჩამორთმეულებმა „საზღვრის“ გადაკვეთა საკონტროლო-გამშვებ პუნქტ „ქვედა ზარამაგის“ გავლით, ოსური „პასპორტებით“ სცადეს, მაგრამ ამჯერად ველარაფერი გამოუვიდათ...**

**არადა, რუსული კანონმდებლობის მიხედვითაც კი, სამივე ფორმალურად ჯერ კიდევ რჩება რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებად, რადგან უშიშროების ფედერალური სამსახურის გადაწყვეტილება მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ სასამართლოში აქვთ გასაჩივრებული.** კერძოდ, დავით სანაკოევმა იგი 5 მარტს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა სასამართლომ სარჩელის მიღებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ტერიტორიულად საქმე მას არ ექვემდებარება.

**ჯერ კიდევ მარტის შუა რიცხვებამდე სამივე ოსი „დეპუტატი“ რუსეთთან „საზღვარს“ უპრობლემოდ კვეთდა, მაგრამ ამჯერად გარე სამყაროში ერთადერთი კარი ცხვირწინ გამოუკეტეს და უშიშროების ფედერალური სამსახურის დასკვნის თანახმად, ეს კარი მათთვის 2049 წლამდე დარჩება ჩარაზული.**

ამასთან, სანაკოევს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს მიერ გაცემული დაკავების ორდერიც ამძიმებს, რომელიც 2008 წლის „ხუთდღიანი ომის“ დროს სავარაუდოდ ჩადენილ სამხედრო დანაშაულებს უკავშირდება.

ამბიციური ცხინვალელი პოლიტიკოსებისთვის რუსეთის მოქალაქეობის ჩამორთმევა და ქვეყანაში შესვლის აკრძალვა ნიშნავს იმას, რომ მათი გულებისთვის ესოდენ ახლობელ მოსკოვს საპენსიო ასაკის მიღწევამდე ველარ იხილავენ და თავად პენსიაც ამიერიდან მხოლოდ ადგილობრივი ექნებათ, რუსული – აღარ. ეს კი უმძიმესი დარტყმაა, რადგან სამივე უკვე შეეჩვია მოსკოვურ რეალობას, ცხინვალში ჩაკეტილობა კი მათთვის პატიმრობის ტოლფასია იმ შეღავათით, რომ საკანი შედარებით ფართო იქნება.

**მაინც რისთვის დასაჯა მოსკოვმა ასე ხისტად ოსი „დეპუტატები“, რომლებიც ჯერ კიდევ ახლო წარსულში მისი ფავორიტები იყვნენ? შეგახსენებთ, რომ დავით სანაკოევი არა უბრალოდ „დეპუტატია“, არამედ საგარეო საქმეთა ყოფილი დე ფაქტო მინისტრიც, ხოლო გარი მულდაროვი – „პრეზიდენტობის“ ექსკანდიდატიც და ორივეს მოსკოვში საკმაოდ კარგი კავშირები აქვს.**

უშიშროების ფედერალური სამსახურის ფორმულირების თანახმად, მულდაროვის, სანაკოევისა და მედოევის წინააღმდეგ სანქციები „რუსეთის უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემქმნელი ქმედებების გამო“ ამოქმედდა. კერძოდ, როგორც მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ უწყისშია აღნიშნული, მიზეზი „რუსეთის საზღვრების სიახლოვეს დაძაბულობის ზრდისკენ მიმართული ქმედებებია“. ხოლო მარტივად რომ ვთქვათ, ეს სამეული აქტიურად მოითხოვდა „სამხრეთ ოსეთის საზღვრების“ გაფართოებას – მოსკოვის მიერ მოხაზული ფარგლების გაცდენას.

ცხინვალში იმასაც ამბობენ, რომ მოსკოვს ეს სამეული თავად დე ფაქტო პრეზიდენტმა ალან გაგლოევმა „ჩააბარა“. ანუ, მოხდა რაღაც იმის მსგავსი, რაც ამას წინათ – სოხუმში, სადაც არაოფიციალური ინფორმაციით, დე ფაქტო ხელისუფლების რომელიღაც წარმომადგენლებმა მოსკოვს კრემლისადმი ნაკლებად ლოიალური მოქალაქეების სიები გადასცეს. იქ ამ დრომდე ცდილობენ, დაადგინონ, რა პრინციპით უქმნიან რუსი მესაზღვრეები ფსოუზე პრობლემებს რუსული პასპორტის მქონე აფხაზეთის მკვიდრთ, უმთავრესად – მათ, ვინც რუსეთის მიერ აფხაზეთის შთანთქმის მიმართ აქტიურ წინააღმდეგობაშია შემჩნეული.

**კიდევ ერთი პარალელი. აფხაზეთში, როგორც ჩანს, საკმაოდ სერიოზულად შეშფოთდნენ ოს „დეპუტატთა“ სამეულის ისტორიით. „Эхо Кавказа“-ს მთელი რედაქცია გადაიქცა ანონიმ-„ავტორებად აფხაზეთიდან“, „დეპუტატმა“ ინარ გიცბამ კი – ერთ-ერთმა იმ ორი „პარლამენტარიდან“, რომლებმაც რუსეთისთვის ბიჭვინთის აგარაკის გადაცემის წინააღმდეგ მისცეს ხმა, მოულოდნელად დატოვა „პარლამენტი“ ისე, რომ მიზეზები ამ დრომდე არ განუმარტავს.**

და კიდევ ერთი სიახლე: ოსი „დეპუტატების“ პერიპეტიების მიუხედავად, ცხინვალის მცხოვრებლები უკვე რამდენიმე თვეა, სთხოვენ მოსკოვს, მათთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების პროცესი დააჩქაროს. რუსული პასპორტის ასაღებად რიგში 1500-მდე ადგილობრივი დგას, სულ კი მის მიღებას რეგიონის 5 000-მდე მკვიდრი ისურვებდა.

მაინც რაშია ამ მოვლენის ფენომენი? რუსული პასპორტი ხომ, როგორც სამი ოსი „დეპუტატის“ მაგალითმაც დაადასტურა, ძალზე არასანდო დოკუმენტია და მოსკოვს შეუძლია, როგორც მოგცა, ისე ნებისმიერ მომენტში წაგართვას. თანაც, „წითელკანიანს“ საერთაშორისო მიმოსვლის თვალსაზრისითაც დაკარგული აქვს მიმზიდველობა, თავად რუსეთში კი ოსური „პასპორტითაც“ ივლი – მთავარია, ჩუმად იყო და ზედმეტად არავის მოხვდე თვალში, თორემ შეიძლება, არც რუსული პასპორტით შეგიშვან, არც ოსურით. აი, ქართული პასპორტი კი, რომელიც ცხინვალის რეგიონის ზოგიერთ მკვიდრთ უკვე აღებული აქვთ, თითქმის მთელი მსოფლიოსკენ ხსნის კარს.

იტყვით, პენსიაო? საქმეც იმაშია, რომ საქართველოსა და რუსეთში მინიმალური პენსია უკვე გათანაბრდა – ორივე ქვეყანაში საშუალოდ დაახლოებით 140 აშშ დოლარს უტოლდება.

მედიცინა? მაგრამ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მკვიდრთათვის მოქმედებს ქართული რეფერალური პროგრამა, რომლითაც უკვე ათასობით ადამიანმა ისარგებლა, მაშინ, როცა რუსეთში უფასოდ არავის მკურნალობენ.

**დოტაციები რუსული ბიუჯეტიდან? მაგრამ ისინი ძირითადად ადგილობრივი ჩინოსნების ჯიბეებში ილექება, ხალხამდე კი იშვიათად აღწევს.**

**არ გინდათ ქართული პასპორტი? 2011 წელს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა პირადობის ნეიტრალური მოწმობა და ნეიტრალური სამგზავრო საბუთი სახელმწიფო პროგრამებსა და სოციალურ მომსახურებაზე წვდომის უზრუნველსაყოფად, ასევე თავისუფალი გადაადგილების ხელშესაწყობად.**

სადღეისოდ ეს დოკუმენტი 12 სახელმწიფოს (ჩეხეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, იაპონია, ისრაელი და აშშ) აქვს აღიარებული, რაც ნიშნავს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მკვიდრთ ამ სახელმწიფოებში ვიზიტების განხორციელება სტატუს-ნეიტრალურ საფუძველზე შეუძლიათ. ამასთანავე, ნეიტრალურ პასპორტს, რუსულისგან განსხვავებით, ვერავინ ვერასოდეს წაგართმევთ.

**რაჟდენ ქაჯაია**

# ოკუპირებულ აფხაზეთში თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი „მი-24“ ტიპის სამხედრო ვერტმფრენი ჩამოვარდა

**აფხაზური მედიის ინფორმაციით, ოკუპირებული აფხაზეთის გულრიფშის რაიონის სოფელ ვლადიმიროვკაში, ე.წ. თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი „მი-24“ ტიპის სამხედრო ვერტმფრენი ჩამოვარდა. ზოგიერთი მედიასაშუალების ცნობით, ვერტმფრენმა „იძულებითი დაშვება განახორციელა“. ხოლო, როგორც გავრცელდა ინფორმაცია, ეკიპაჟის სამივე წევრი ცოცხალია, საავადმყოფოში გადაიყვანეს და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. კატასტროფის გამომწვევი მიზეზების დასადგენად გამოძიება მიმდინარეობს.**



თუკი გავიხსენებთ, ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის მიერ გარკვეული ტიპის აქტივობებს, ექსპერტულ წრეებში ხაზს უსვამენ, რომ რუსეთი ოკუპირებული რეგიონის სამხედრო ანექსიას აწარმოებს. ამაზე მიგვანიშნებს, აეროპორტისა და ოჩამჩირის ბაზის მშენებლობის საკითხი, ბიჭვინთის აგარაკებისა და აპარტ-ოტელების თემა. შესაბამისად, კრემლს რაღაც კონკრეტული გეგმა აქვს აფხაზეთთან დაკავშირებით.

საქართველოს ყოფილი მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** ამბობს, რუსეთი მაქსიმალურად ცდილობს, აფხაზეთის ტერიტორია შეიერთოს.

**„რუსეთის პოლიტიკა აშკარად ანექსიურია და რუსეთს უნდა აფხაზეთის ანექსია მოახდინოს. ვიდრე რუსეთს ჰყავს ისეთი მორჩილი ხელისუფლება საქართველოში, როგორიც „ქართული ოცნებაა“, მაქსიმალურად ეცდება, რომ მიიითვისოს, რაც შეიძლება მეტი მიწა და შენობა. მხოლოდ აფხაზების წინააღმდეგობა საკმარისი არაა. „ოცნების“ მიზანია ხელისუფლების შენარჩუნება და არა აფხაზეთის დაბრუნება, რაზეც საერთოდ არ ლაპარაკობს, არანაირი განცხადება არ გაუკეთებია ბიჭვინთაზე, ოჩამჩირის პორტზე, ხმას არ იღებს, თითქოს საქართველოს არ ეხებოდეს. რუსეთის დამარცხება უკრაინაში, ავტომატურად არ იგულისხმება საქართველოს წარმატებად. საქართველომ უნდა იშრომოს, მუდმივად ჩართული იყოს პროცესებში და შეიქმნას თავის უსაფრთხოების გარანტიები, მაგალითად, ნატოს და თურქეთის სახით. რუსეთმა უნდა ნახოს, რომ საქართველო ისეთივე ძლიერია, როგორც მაგალითად, აზერბაიჯანი. ჩვენ მარტო არ ვართ რუსეთის წინაშე, ჩვენს გვერდით ნატო არის“**, – განაცხადა **პაატა ზაქარეიშვილმა.**

აფხაზეთის მთავრობის უშიშროების ყოფილი მინისტრი და ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში **ლევან კიკნაძე** მიიჩნევს, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთის სამხედრო კოლონიზაცია დიდი ხანია, მიდის.

**„ის მიზანი, რაც კრემლს აფხაზეთის მიმართ ჰქონდა, არ ცდება და მიყვება მას. აფხაზები დღეს არიან მძევლები საკუთარი სისულელის, მიენდვნენ რუსეთს და კრემლის მძევლები გახდნენ. კიდევაც რომ მოინდომონ ამ მდგომარეობიდან გამოსვლა, პრაქტიკულად, ეს შეუძლებელია, სანამ რუსეთი ამ პოზიციაზე იქნება. კრემლი კი ამ პოზიციაზე მუდმივად იქნება, თუკი რაიმე გლობალური არ მოხდა. თუ რუსეთს ისე არ გაუჭირდება, ველარ მოახერხოს აფხაზეთის ასეთ მორჩილ მდგომარეობაში დაქვემდებარება. აფხაზეთში სამხედრო კოლონიზაცია დიდი ხანია ხდება, აფხაზეთი რუსეთის კოლონიაა დღეს. რაც მეტს მოისურვებს რუსეთი, ისეთივე პროპორციული წინააღმდეგობა შეხვდება აფხაზეთის მოსახლეობის იმ ნაწილისგან, რომელიც თავიდანვე ფიქრობდა და დღესაც ფიქრობს, რომ მათი ადგილი, იურიდიული სივრცე, რუსეთი კი არა, საქართველოა. სამწუხაროდ, მათი ხმა არ ისმის ბევრი მიზეზის გამო. ერთ-ერთი არის ის, რომ როგორც კი ხმას ამოიღებენ, იმ წუთში დამნაშავედ და მოღალატედ გამოაცხადებენ. ასე რომ, წინააღმდეგობა ყოველთვის იქნება, მაგრამ იმ სიძლიერის არა, რომ ამის დაძლევა მოუწიოს რუსეთს“**, – განაცხადა **ლევან კიკნაძემ.**

აქვე შეგახსენებთ, რომ 2023 წლის 16 ივნისს, რუსეთის ეკონომიკის მინისტრმა **მაქსიმ რეშეტნიკოვმა** და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრმა **კრისტინა ოზგანმა** პეტერბურგში, ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, „სოხუმის არძინბას სახელობის საერთაშორისო აეროპორტის“ აღდგენის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს. მარტის ბოლოს კი ცნობილი გახდა, რომ დე ფაქტო ხელისუფლება სოხუმის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიიდან ადგილობრივთა გასახლებას გეგმავს, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია.

რაც შეეხება ოჩამჩირის ბაზას, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა **ასლან ბჟანიამ** ბაზის მშენებლობის შესახებ პირველად 2023 წლის ოქტომბერში განაცხადა. უკრაინაში შეჭრის შემდეგ, რუსეთის შავი ზღვის ფლოტი, რომლის შტაბ-ბინა ოკუპირებულ ყირიმშია, არაერთხელ გახდა უკრაინული თვითმფრინავების და რაკეტების სამიზნე და 30%-ზე მეტი განადგურებულია, ამიტომაც სამხედრო ანალიტიკოსებს ეჭვი აქვთ, რომ ერთ-ერთი პლაცდარმი, შესაძლოა, ოჩამჩირე გახდეს.

**ნინო ჩოხელი**

## ექსტრემიზმის დაფინანსების კონკრეტული ფაქტორები და რევოლუციური ამოცანების მხარდაჭერა – „ქართული ოცნება“ FARA-ს კანონპროექტს აინიცირებს




# პარლამენტი – შეშლილი ავადმყოფების სალაყბო!

(პირველი გვერდიდან)

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, **მამუკა მდინარაძის** განცხადებით, ხელისუფლება ბოლო მომენტამდე იმედოვნებდა, რომ კანონს არ დააბრუნებდა, რადგან დონორებისგან იყო პირობა დაფინანსების გამჭვირვალობაზე, თუმცა პირობა არ შესრულდა და მდგომარეობა გაუარესდა. მდინარაძის თქმით, კიდევ უფრო შავი გახდა ის ფული, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით შემოდიოდა ქვეყანაში.

**„მაგალითად, ნიკა გვარამიამ თქვა, რომ მიზნობრიობის გარეშე მისცეს გრანტი, ეს ხომ ტყულია, რამდენად გააშავა ფული. მან თქვა, რომ, დიახ, გასკდით გულზე, მიზნობრიობის გარეშე დაგვიმტკიცდა გრანტი. უკვე აღარც ერიდებოდნენ. ადრე თუ კეთილშობილურ მიზნებს ასახელებდნენ, ახლა თავხედურად აცხადებენ, რომ დაუმტკიცდებათ მილიონები მიზნობრიობის გარეშე. აქედან გამომდინარე, როცა მეორე მხრიდან პირობა არათუ არ შესრულდა, გაუარესდა გამჭვირვალობის მდგომარეობა, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მივიღოთ კანონი ყოველგვარი დაჩქარების გარეშე. მოვიდნენ და წარმოადგინონ არგუმენტები. შარშან იყო უკიდურესი პროვოკაციების რისკი, რასაც დავაზღვევთ მაქსიმალურად, მათ შორის საინფორმაციო თვალსაზრისითაც. „ენჯეოების“ დაფინანსების სრული გაუმჭვირვალობის მიუხედავად, შარშან ჩვენთვის ცნობილი გახდა საქართველოში ექსტრემიზმის დაფინანსების კონკრეტული ფაქტების შესახებ, რომლებიც რევოლუციური პროცესების მხარდაჭერისკენ იყო მიმართული. კერძოდ, გასული ერთი წლის განმავლობაში, საზოგადოებას მივაწოდეთ ინფორმაცია „დროას“, ფრანკლინის კლუბის, კანვასის ტრენინგების, აგრეთვე უცხოური ფონდებიდან სხვა გაერთიანებებისა და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერის შესახებ, რომლებიც საქართველოში რადიკალიზმისა და ე.წ. პოლარიზაციის გაღვივებას უწყობდა ხელს“,** – განაცხადა **მამუკა მდინარაძემ.**

უმრავლესობის გადაწყვეტილება დეპუტატებს შორის სიტყვიერი დაპირისპირების მიზეზი გახდა. დეპუტატებმა, **ხატია დეკანოიძემ** და **ალეკო ელისაშვილმა** სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას ხაზგასმით განაცხადეს, რომ ეს არის „რუსული კანონი“, რამაც „ქართული ოცნების“ დეპუტატების გაღიზიანება გამოიწვია. მამუკა მდინარაძემ ოპოზიციონერ დეპუტატებს მიმართა, განმარტონ, თუ რატომ უწოდეს აღნიშნულ კანონს „რუსული“ და ფინანსების დეკლარირება რატომ არის „რუსული საქმე“.




**არასამთავრობო სექტორის დაფინანსების 90 პროცენტზე მეტი გაუმჭვირვალეა!**

შელაპარაკება სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ ალეკო ელისაშვილს პლენარულ სხდომათა დარბაზი დაატოვებინა. მეტიც, **შალვა პაპუაშვილმა** მიკროფონი გაუთიშა ყველა იმ დეპუტატს, ვინც უმრავლესობის კანონპროექტს „რუსულს“ უწოდებდა.

კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ჯერ ინიცირებული არ არის, შესაბამისად, კანონის სრული შინაარსიც უცნობია, თუმცა რადიკალური ოპოზიცია ამტკიცებს, რომ კანონი რუსულია და შესაბამისად, ამომრჩევლებს ისევ ქუჩაში ეძახიან. დეპუტატი **ალეკო ელისაშვილი** აცხადებს, რომ რუსული კანონი არ უნდა გაატანინონ და ყველას მოუწოდებს, ვისაც, მისი თქმით, უნდა ქვეყანა ევროპის ნაწილი გახდეს, აზჯარი აისხან, მოემზადონ, რადგან დიდი ვნებათაღელვა და ცემა-ტყეპა ელით.

**„ეს კანონპროექტი „საქართველოში არ უნდა გავიდეს“. ტყუილია იმაზე ლაპარაკი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები „რაღაც ბნელ ფულს იღებენ“. ეს არის მავნებლობა, რასაც აკეთებენ. ეს არის ბოროტება ამ ქვეყნის წინააღმდეგ. ერთხელ ხომ აწვალეს ეს ქვეყანა, ერთხელ ხომ კინაღამ ამობრუნდა ყველაფერი ამ ქვეყანაში, ახლა ატრიალებენ ისევ ამ კანონს. ვეუბნები, რომ არ გინდათ ამის კეთება, რუსულია. არ უნდა გავატანინოთ, რუსული კანონი საქართველოში არ უნდა გავიდეს, ეს კანონი პარლამენტმა არ უნდა მიიღოს, მორჩა და გათავდა. „ქართული ოცნების“ არგუმენტები არ მაინტერესებს, ყველაფერი გამჭვირვალეა, არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება 100%-ით არის გამჭვირვალე. არ ასვენებთ გამჩენი. ეტყობა რაღაც ვალდებულებები აქვთ ამ რუსებთან და ისინი ავალდებულებენ, თორემ ახსნა ლოგიკური და ნორმალური ამას არა აქვს, რაც დღეს ხდება“,** – განაცხადა **ალეკო ელისაშვილმა.**

ქუჩაში გასვლას არ აპირებს „გირჩი“, რომელიც თვლის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კანონპროექტი იმიტომ შემოიტანა, რომ პარლამენტში ჩხუბი იყოს და თავი კომფორტულ გარემოში იგრძნოს. შესაბამისად, **იაგო ხვიჩია** მოუწოდებს ოპოზიციას, რომ არ აყვნენ პროვოკაციას. მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ ტაქტიკა, რომ არ ჰყვებიან, სწორია.

**„რაც არ უნდა უცნაურად ჩანდეს, ახლა ამ ცვლილებების შემოტანა „ნაცების“ გამარჯვების აღიარებაა, რადგან „ქართული ოცნების“ ტაქტიკამ არ გაამართლა, რომ დისკუსიები ჩხუბში გადასულიყო ლგბტ თემაზე, იქიდან გამომდინარე, რომ ამას „ნაცები“ არ აჰყვნენ და დამცინავი იუმორით შემოიფარგლნენ. ოპოზიციას მოვუწოდებ, „ნაციონალურ მოძრაობასაც“, ალეკო ელისაშვილსაც, რომ ამ პროვოკაციას არ ავყვეთ, რადგან ეს არის პროვოკაციული ცვლილება, რომ ამან გამოიწვიოს დავიდარაბა, ჩხუბი და არა დისკუსიები. ქართველ ხალხს მოვუწოდებ, დაიმახსოვრონ ის, რასაც ახლა „ქართული ოცნება“ აკეთებს, როგორ მიაქვს უკან ქართველი ხალხის ნაშრომი და ეს გაბრაზება 26 ოქტომბრისთვის მიიტანოს“,** – აღნიშნა **იაგო ხვიჩიამ.**



„ხალხის ძალის“ წევრი, ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** აცხადებს, რომ საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღნიშნულ კანონპროექტში რაიმე „რუსულის“ აღმოჩენისთანავე, საკითხი უნდა დადგეს კონკრეტული ორგანიზაციის არაკეთილსინდისიერების შესახებ და ქვეყანაში მისი საქმიანობის შეჩერების თაობაზე.

**„ამ ტექსტს აქვს გარკვეული „სირთულე“ და ამავდროულად აღქმის მაქსიმალური სიმარტივე: თუ რაზე მიდის საუბარი, უნდა შეგეძლოს ქართულად კითხვა, მაქსიმუმ 6-გვერდიანი ტექსტის მაინც. უნდა შეგეძლოს წაკითხულიდან აზრის გამოტანა. გვესმის, ძნელია, მაგრამ სხვანაირად ეს კომბინაცია არ მუშაობს. აზრის გამოტანა უნდა შეგეძლოს დამოუკიდებლად, „ქოუჩების“ მხრიდან მიღებული დირექტივების გარეშე, აღნიშნულ ტექსტში რაიმე „რუსულის“ აღმოჩენისთანავე, შეურაცხადობის ნიშნით ფსიქო-ნევროლოგიურ დისპანსერში აღრიცხვაზე აყვანა სავალდებულო უნდა გახდეს“,** – აცხადებს **დავით ქართველიშვილი.**

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** თვლის, რომ აუცილებლობას წარმოადგენს „FARA“-ს კანონის მიღება, ვინაიდან ცნობილი გახდეს საზოგადოებისათვის უცხოეთიდან შემოსული ფულის გამჭვირვალობა. ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს ვინ გვეხმარება ანგარებით და ვინ უანგაროდ.

**„ამიხსენით, რა არის ამაში ცუდი? ამ კანონით გამჭვირვალე გახდება არა მარტო დასავლეთიდან შემოსული ფული, არამედ ჩრდილოეთიდან შემოსული ფულიც. დიახ, ჩრდილოეთიდან ანუ რუსეთიდანაც შემოსული ფინანსები, ასევე – აღმოსავლეთიდანაც და სამხრეთიდანაც. ამის შემდეგ უფრო ხელსაყრელ ფასებში გააქირავებს რუს ტურისტებზე ჭიჭე ვაშაძე ბინებს და ელენა ხოშტარია უფრო უშიშრად და უნერვიულოდ მიიღებს კრემლიდან ჰონორარებს. აუცილებელია „FARA“-ს კანონის მიღება, რათა დაცული იქნას ქართველი ხალხის**



**და ქართული სახელმწიფოს უშიშროება გარე გლობალისტური ძალებისა და შინა მეხუთე კოლონის დანაშაულებრივი, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებისაგან“,** – აცხადებს ანალიტიკოსი.

რაც შეეხება ოპოზიციის სამომავლო გეგმებს, ედიშერ გვენეტაძის განცხადებით, რადიკალური ოპოზიცია საერთოდ გასულია მომსახურების სფეროდან, რადგან ეს არის ოპოზიცია, რომელმაც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს არ მიულოცა საქართველოს ნაკრების გამარჯვება!

**„დღეს გამოდის ეს ტვინგაწყალებული ხალხი, რომელთაც ქართული არაფერი სცხიათ და ნახეთ, რას ლაპარაკობენ, თუ გოცირიძემ, ბერძენიშვილება, ჭიჭიკო ვაშაძემ და პატიკო მანჯგალაძემ გრანტი ვერ მიიღეს, ამის გამო უეფა ევროპის პირველობაზე მონაწილეობას აგვიკრძალავსო. ამის შემდეგ რა შეიძლება ამ ხალხზე ვილაპარაკოთ?! ესენი უკვე „მელოჩებიც“ აღარ არიან, ამათზე ლაპარაკი შეუძლებელია, პოლიტიკურად გაკოტრებული, გამამაძაღლებული არიან.**

**რომანა გოცირიძის დაძახებაზე მისი ოჯახიც არ გამოვა. რომანა გოცირიძემ ქართველი ხალხი გააკოტრა, გააუბედურა. პირადად ჩემს ოჯახს დიდი უბედურება დამართა. 90-იან წლებში ცხონებულ დედაჩემს, რომელიც მასწავლებელი იყო, ასევე პირველი ჯგუფის ინვალიდი, შეატანინა ბანკში ნაგროვები ფული, 6 ათასი მანეთი და თქვენ წარმოიდგინეთ, მისცა 23 ლარი. საბოლოოდ ისიც არ ჩარიცხეს, მათ დარჩათ. აი, ეს კაცია გოცირიძე, რომელსაც სინდის-ნამუსი რომ ჰქონდეს, როგორ უნდა იყოს პოლიტიკაში, რაც მას უბედურებები აქვს ქართველი ხალხისთვის გაკეთებული. მე ვფიქრობ, რომ უკეთესი იქნება, ამ ხალხმა ირბინონ ქუჩაში, იყვირონ და ბოლომდე ჩამოიხსნან ნიღაბი. ესენი არიან შეშლილი ავადმყოფები“,** – აღნიშნა **ედიშერ გვენეტაძემ.**

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**

## რა ხდება?

**გერმანიაში რუსული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში უკრაინის მხარდაჭერის შესახებ დისკუსიის ტონი იცვლება. სწორედ ამაზე მიუთითებს გერმანულ მედიაში გამოქვეყნებული კომენტარები და უკრაინაში კონფლიქტის „გაყინვის“ მოწოდება. მსგავსი შინაარსის განცხადება ბოლო ხანებში უკვე ორჯერ გააკეთა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (SPD) საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ როლფ მიუტცენიხმა.**

ექსპერტებს აინტერესებთ, ხდება თუ არა ეს ახალი პათოსი გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცისა და მისი პარტიის საარჩევნო ტაქტიკა. სავარაუდოდ, პაციფისტური ლოზუნგებით ამომრჩეველთა გულის მოგება გამიზნულია 9 ივნისის ევროპარლამენტის არჩევნებისთვის და ეს განსაკუთრებით, გათვლილია აღმოსავლეთ გერმანიის ელექტორატზე, სადაც შემოდგომაზე, ერთდროულად, რეგიონული საპარლამენტო არჩევნები სამ მიწაზე გაიმართება. რას წერს გერმანული მედია ამ თემაზე, Deutsche Welle-მ შეისწავლა.



**გერმანელი სოციალ-დემოკრატები პაციფისტური ლოზუნგებით საარჩევნო ქულების მოპოვებას ცდილობენ, – ასეთია ექსპერტების შეფასება. მათი აზრით, ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ „პუტინმა ევროპაში თავისუფლება არ გაყინოს“!**

# გერმანიაში უკრაინის ომის გაყინვის სურვილი იზრდება!

## FAZ: „პირდაპირ თქვით, რომ დანებების დროა!“

**კონსერვატიული გაზეთი Frankfurter Allgemeine Zeitung (FAZ) აქვეყნებს სტატიას სათაურით „მაშინ პირდაპირ თქვით!“ აღნიშნულ პუბლიკაციაში საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში განწყობის ცვლილება შემდეგნაირად არის აღწერილი. „ჩნდება ცუდი განცდა, უფრო სწორად კი, წინათგრძნობა, რომელსაც აძლიერებს ინდივიდუალური შენიშვნები, მიმიკური მინიშნებები ან დაბალი ხმით ნათქვამი შეფასებები: ხომ არ კარგავს გერმანია ამ მომენტში რწმენას უკრაინის მიერ წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობის მიმართ?**

არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც „რუსებისა“ და მათი სასტიკი ძალისადმი პატივისცემა, როგორც ჩანს, განსაკუთრებით დიდია, არამედ გერმანიის დასავლეთ ტერიტორიებზე სულ უფრო ხშირად ისმის გამაფრთხილებელი მოწოდებები ვითარების „რეალისტური“ შეფასების შესახებ. აღნიშნული მოსაზრებების მიხედვით, თითქოს ორწლიანი ომის შემდეგ, საჭიროა ახალი იმპულსები და ახალი მცდელობები მშვიდობის მისაღწევად“, – წერს FAZ-ი.

**„როგორც ჩანს,** – განაგრძობს გამოცემა, – **პაპის ბოლო განცხადებას, რომ თეთრი დროშის აღმართვა ზოგჯერ შეიძლება ნამდვილი წინდახედულობის მანიშნებელი იყოს, ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო მეტი ადამიანი იზიარებს. თუმცა ისინი ამაზე ღიად არ საუბრობენ“. სწორედ ამიტომ, Frankfurter Allgemeine Zeitung-ის ჟურნალისტი მოუწოდებს გერმანელ პოლიტიკოსებს, შეწყვიტონ ისეთი გამონათქვამების გამოყენება, როგორიცაა „გაყინვა“ და „მოლაპარაკება“ ან „რუსეთისადმი სხვანაირი მიდგომა“. სტატიის ავტორის აზრით, უმჯობესია გულწრფელობა: „მაშინ პირდაპირ თქვით: არა „გაყინვა“, არამედ – „დანებება“.**

## გაზეთი DIE WELT-ი კომპრომისულ განწყობას ქმნის

**FAZ-ის მიერ აღწერილი სენტიმენტების მაგალითია სტატია სახელწოდებით „კომპრომისის დღეც მოვა“, რომელიც სხვა კონსერვატიულ გაზეთში, Die Welt-ში გამოქვეყნდა. მისი ავტორია გამოცემის მთავარი კომენტატორი ჟაკ შუსტერი, რაც პუბლიკაციას დამატებით წონას ანიჭებს. „მოსკოვმა დაიწყო ეს ომი იმ რწმენით, რომ უკრაინას რამდენიმე დღეში დაიპყრობდა. უკრაინელების სიმტკიცის წყალობითა და დასავლური იარაღის მიწოდების სისტემით, მსგავსი არაფერი მომხდარა. უკრაინის სამხედრო აღჭურვისთვის დასავლეთმა ყველაფერი უნდა გააკეთოს მომავალშიც, რათა „რაც შეიძლება მეტი დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება მოხერხდეს“.**

**„თუმცა რუსეთის უპირატესობის გათვალისწინებით,** – განაგრძობს Die Welt-ის კომენტატორი – **მხოლოდ მეოცნებეებს სჯერათ სერიოზულად, რომ კიევი ნებისმიერ შემთხვევაში მიაღწევს ვითარებას, როდესაც რუსებისგან ყირიმის გათავისუფლებას მაინც მოახერხებს. მოგვწონს ეს თუ არა: დადგება დღე, როცა კომპრომისი მიიღწევა. აღნიშნული კომპრომისი კი დათმობებს გამოიწვევს და იმედია, ეს ორივე მხარეს შეეხება“.**

## სოციალ-დემოკრატებს წინასაარჩევნო ქულების დაგროვება სურთ

**სოციალ-დემოკრატიული პარტიის გავლენიანი ფიგურის, როლფ მიუტცენიხის დაჟინებული განცხადებები მიუნხენის რეგიონული გამოცემა Merkur-ისთვის შემდეგ კითხვებს აჩენს: „ასახავს თუ არა ეს პოზიცია შოლცის ახალ კურსს, მათ შორის, მომავალი არჩევნების გათვალისწინებით? იზიარებს თუ არა მიუტცენიხი პაპის პოზიციას, რომელმაც დაიწყო საუბარი „თეთრ დროშაზე“ და არის თუ არა ის ფოკუსირებული იმ გერმანელ ამომრჩეველზე, რომელიც უკრაინისთვის TAURUS -ის რაკეტების მიწოდებას სკეპტიკურად უყურებს?“.**

საინფორმაციო არხ N-TV-ს კომენტატორიც თვლის, რომ როლფ მიუტცენიხის განცხადება ომის „გაყინვის“ შესახებ, რომელიც ბუნდესტაგში, გერმანული TAURUS-ის ფრთოსანი რაკეტების უკრაინისთვის მიწოდების შესახებ მომავალი კენჭისყრის ფონზე გაკეთდა, ასახავს არა მხოლოდ მის პირად აზრს, არამედ მისი თანაპარტიელის – ოლაფ შოლცის ავტორიტეტისა და მთელი SPD-ს საარჩევნო პოზიციების განმტკიცებისკენ არის მიმართული.

**„ომის გასული ორი წლის განმავლობაში, შოლცი ცდილობდა, შეექმნა იმ ადამიანის იმიჯი, რომელიც გერმანელი ხალხისთვის უსიამოვნების თავიდან აცილებას ცდილობს. კანცლერის ოფისში ამომრჩეველთა მადლიერების იმედი აქვთ“,** – ამბობს ჟურნალისტი.

თუმცა კომენტატორის აზრით, არ შეიძლება არ შევამჩნიოთ აშკარა წინააღმდეგობა ზოგიერთი გამოჩენილი სოციალ-დემოკრატის მიერ ომის „გაყინვის“ იდეის მხარდაჭერასა და გერმანიის მთავრობის რეალურ ქმედებებს შორის, რომელიც სწორედ მოცემულ ეტაპზე უკრაინას დახმარებას უზრდის.

**„საკუთარი ქმედებებისგან მუდმივი დისტანცირება აშკარად აჩვენებს, რომ SPD-ს არა აქვს საკუთარი გეგმა და მკაფიო პოლიტიკური კურსი, რაც სულ უფრო აძლიერებს ეჭვს, რომ პარტიას მომავალ არჩევნებზე ქულების მოპოვება სწორედ უკრაინის ხარჯზე სურს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ამით სოციალ-დემოკრატები რადიკალური პარტიის „ალტერნატივა გერმანიისთვის“ (AFD) და ვაგენკნეხტის პოზიციებს ამყარებს. ეს კი ხდება მაშინ, როდესაც გერმანიის კანცლერი უკრაინის ფართო ევროპული მხარდაჭერისთვის იმაზე მეტს აკეთებს, ვიდრე – ოდესმე“,** – აღნიშნავს N-TV-ს ჟურნალისტი და იხსენებს პრორუსი, მემარჯვენე პოპულისტების კურსს AD-დან და მემარცხენე პოპულისტების მოსაზრებებს „სარა ვაგენკნეხტის კავშირიდან“ (BSW).

## „იაფი პოპულიზმის“ მკაცრი კრიტიკა

**„უკრაინის ომის უბრალოდ გაყინვა არ შეიძლება, როგორც ამას SPD-ს ფრაქციის ხელმძღვანელი როლფ მიუტცენიხი გვთავაზობს, მითუმეტეს, აგრესორ პუტინის სასარგებლოდ“,** – წერს გერმანიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის რეგიონული გაზეთი Stuttgarter Zeitung-ი.

სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ სოციალ-დემოკრატები ამ გზით ცდილობენ, წინააღმდეგობა გაუწიონ სარა ვაგენკნეხტისა და „მისი მემარჯვენე რადიკალი კონკურენტების“ „იაფ პოპულიზმს“. გამოცემის აზრით, ასეთ ძალისხმევაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს უკრაინაში ომის „გაყინვაზე“ აპელირებით.

**„მშვიდობის წყურვილი სუფევს არა მხოლოდ SPD-ში, არამედ – აღმოსავლეთ გერმანიასა და პოლიტიკური სპექტრის კულუარებშიც. რა თქმა უნდა, უკრაინელები უკვე ორი წელია ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ დაასრულონ ეს ომი. თუმცა უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, რომ პუტინმა საბოლოოდ არ გაყინოს თავისუფლება ევროპაში“,** – ხაზს უსვამს Stuttgarter Zeitung-ი.



## „ისრაელი ინანებს ირანის საკონსულოზე თავდასხმას“

**ამის შესახებ ირანის სულიერმა ლიდერმა, აიათოლა ალი ხამენეიმ განაცხადა.**

ირანმა პირობა დადო, რომ ისრაელის თავდასხმას ირანის მხრიდან საპასუხო რეაქცია ექნება. შეგახსენებთ, ისრაელის სამხედრო თვითმფრინავებმა პირველ აპრილს სარაკეტო იერიში მიიტანეს დამასკოში მდებარე ირანის საელჩოს საკონსულოზე, რის შედეგადაც დაიღუპა „ირანის რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ შვიდი გენერალი და სამხედრო მრჩეველი.

## ოთხი წლის წინანდელი არჩევნები არ განმეორდება!



**The Wall Street Journal-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მოქმედ პრეზიდენტს, ჯო ბაიდენს შვიდი მერყევი შტატიდან ექვსში ასწრებს.**

გამოცემის ცნობით, გამოკითხვა 17-დან 24 მარტამდე ტელეფონით და მოკლე ტექსტური შეტყობინებით ჩატარდა. რესპონდენტებს ეკითხებოდნენ, თუ ვის დაუჭერდნენ მხარს საპრეზიდენტო არჩევნებზე – დონალდ ტრამპს თუ ჯო ბაიდენს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 600-მა რეგისტრირებულმა ამომრჩეველმა არიზონიდან, ჯორჯიიდან, მიჩიგანიდან, ჩრდილოეთ კაროლინიდან, ნევადიდან, პენსილვანიიდან და ვისკონსინიდან. შეგახსენებთ, აშშ-ის მოქმედმა პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ექვსი შტატი მოიგო, ტრამპმა კი მხოლოდ ჩრდილოეთ კაროლინაში გაიმარჯვა.

## ბლინკენი: აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაცია უკრაინაში ჯარების გაგზავნას მხარს არ უჭერს

**ენტონი ბლინკენის თქმით, ქვეყნის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის პოლიტიკა ცხადია, რომლის თანახმად, უკრაინაში ამერიკელი სამხედროები არ გაიგზავნებიან.**



ჟურნალისტის შეკითხვას, რატომ არ ემხრობა აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაცია ჯარების გაგზავნას, ენტონი ბლინკენმა უპასუხა, რომ ეს რუსეთთან პირდაპირ კონფლიქტს გამოიწვევს, რაც მოკავშირეების ინტერესებში არ შედის.

**„ამავდროულად, არსებობს გადაწყვეტილება, რწმენა, რომ მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ უკრაინის მხარდასაჭერად და ეს გავაკეთოთ არა მხოლოდ წელს, არამედ მომავალ წლებში“,** – განაცხადა ენტონი ბლინკენმა. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ასევე აღნიშნა, რომ უკრაინაში ჯარების გაგზავნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ყველა ქვეყანამ უნდა მიიღოს ეროვნულ დონეზე და ალიანსის დონეზეც.

# მეცნიერები „მიშას" ხუთჯვრიანი დროშის" წინააღმდეგ!

**SIC!**

**ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო დროშა არაქართული და უკანონოა, გერბზე წმინდანი შეტრიალებულია, ხოლო ჰიმნი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და მასში საქართველო არ არის ნახსენები, მეცნიერები ახალი სახელმწიფო სიმბოლოების შესარჩევად კონკურსის გამოცხადებას ითხოვენ**



## ქართველი მეცნიერების აზრით საქართველოს სახელმწიფო დროშა „არაქართული და უკანონოა"...

**მეცნიერების აზრით სახელმწიფო სიმბოლოები კონკურსის გზით უნდა შეირჩეს და ისეთივე გამორჩეული უნდა იყოს, როგორც საქართველოა.**

ფაქტია, ბოლო 20 წელიწადია, ერთადერთი სახელმწიფო ვართ, რომლის ზრდასრული მოქალაქეების აბსოლუტურ უმრავლესობას არც სახელმწიფო დროშის წარმომავლობის თაობაზე აქვთ მკაფიო წარმოდგენა და არც მისი შინაარსის (სემანტიკის) ახსნა შეუძლიათ... ამასთან, ჩვენი ჰიმნი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და მასში „საქართველო" ერთხელაც არ არის ნახსენები... არადა, ნათქვამია, „შეიძლება, ერთი ადამიანი ძალიან დიდხანს ატყუო, ისიც შეიძლება, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ცოტა ხანს ატყუო, მაგრამ შეუძლებელია, ძალიან ბევრი ადამიანი ატყუო ძალიან დიდხანსო".

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი საბჭოს განცხადება „ვარდების რევოლუციის" შემდეგ სახელმწიფო დროშის ცვლილებასთან დაკავშირებით („ხუთჯვრიანი დროშა არაქართულია და კანონდარღვევით არის მიღებულიო!", 27.05.2019) ხელისუფლებამ რეაგირების გარეშე დატოვა, საქართველოს პატრიარქს, წმინდა სინოდის წევრებს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს, თსუ-სა და საპატრიარქოს უნივერსიტეტის პროფესორებს, მედიასაშუალებებს, აგრეთვე პოლიტიკური პარტიების ლიდერებს მივმართე და პოზიციის საჯაროდ დაფიქსირება ვთხოვე.

ყველას ვურჩიე, ემსჯელათ ახალი სახელმწიფო სიმბოლიკის (გერბი, დროშა, ჰიმნი) შესარჩევი კონკურსის გამოცხადების თაობაზე, რომელშიც სახელმწიფო დროშის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ შერჩეული (ერთჯვრიანი) ვარიანტიც მიიღებდა მონაწილეობას, რომელიც „საეკლესიო დროშად" მოიხსენიება და ალილოს მსვლელობისას გამოიყენება.

პარლამენტის თავმჯდომარემ სახელმწიფო დროშის შეცვლის თაობაზე საკანონმდებლო წინადადებით მიმართვა შემომთავაზა, ხოლო მეცნიერებათა აკადემიაში ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი საბჭოს მორიგ სხდომაზე (14.03.2024) მიმიწვიეს, რომელზეც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ნინო ჯაველიძემ ხუთჯვრიანი დროშის თაობაზე გააკეთა მოხსენება. სათანადო მტკიცებულებების საფუძველზე დაასკვნა, რომ ხუთჯვიანი სიმბოლო არ არის ქართული, ვინაიდან ის ლითონის ფულზე მრავალმა არაქართველმა მონარქმა გამოსახა და კათოლიკე მისიონერთა მიერ შედგენილ რუკებზეც ათამდე ქვეყანაშია ქალაქები მონიშნული (ევროპაში, აზიასა და აფრიკაში). ამასთან, აღნიშნა, რომ ხუთჯვრიან დროშაზე სომხებიც აცხადებენ პრეტენზიას და, რომ ერთადერთი სახელმწიფო, რომელშიც პარტიული (თანაც „ნაციონალების"...) დროშა სახელმწიფო დროშად გამოცხადდა ადოლფ ჰიტლერის ფაშისტური გერმანია იყო...

მოხსენება ერთხმად იქნა მოწონებული, ხოლო გამომსვლელებმა მხარი დაუჭირეს დროშის შეცვლის იდეას (მხოლოდ ბატონმა მიხეილ ჯიბუტმა არ ჩათვალა უკვე დამკვიდრებული დროშის შეცვლა საჭიროდ). ჰიმნის ალტერნატიული ვარიანტიც მოვისმინეთ, რომლის ტექსტშიც საქართველო რამდენჯერმე იყო ნახსენები. მეც მომეცა აზრის გამოხატვის საშუალება. აკადემიკოსებს პარლამენტარებთან შეხვედრა და კონკურსის გამოცხადების მოთხოვნა ვურჩიე (თუ უარს მიიღებენ, თავად აკადემიამ უნდა გამოაცხადოს „საზოგადოებრივი კონკურსი"...). ამასთან, აღვნიშნე, რომ დაუშვებელია, აკადემიის შენობის ჰოლში გამოფენილ პანოზე („რევოლუციონერ" ზუღაძის უნდა იყოს...) დავით აღმაშენებელი ხუთჯვრიანი სიმბოლოთი იყოს გამოსახული, მით უმეტეს, რომ აშკარად „ნაციონალური მოძრაობისაა", ვინაიდან დიდი ჯვარი გაცილებით ვიწროა, ვიდრე სააკაშვილის მიერ დადგენილ „სახელმწიფო (ფაქტობრივად, მართლაც „მიშას") დროშაზე" (შესაბამისი ნორმატიული აქტის თანახმად, დიდი წითელი ზოლის სიგანე დროშის სიგანის 1/5 უნდა იყოს...). უმჯობესია, შეიცვალოს წმინდა გიორგის გამოსახულებით ან შინდისფერ ფონზე ოქროსფერი ჯვრით, რომელიც სვეტიცხოველში ფრესკაზეა გამოსახული და მეცნიერებიც ასაბუთებენ, რომ ისტორიულია.

**მადლობა ქალბატონ ნინოს, ბატონ როინ მეტრეველს (თავიდანვე იყო ხუთჯვრიანი დროშის წინააღმდეგი, თუმცა დავით აღმაშენებლის ეპოქის მკვლევარს არავინ მოუსმინა... იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 03.02.1918) და სხდომაზე დამსწრე აკადემიკოსებს სამოქალაქო აქტიურობისთვის და ქართველი ერის გამოფხიზლების მცდელობისთვის. არ შეიძლება მოქალაქემ საკუთარი ქვეყნის უპირველესი სახელმწიფო სიმბოლოს შინაარსი არ იცოდეს, გერბზე წმინდანი „უკუღმა" ჰყავდეს გამოსახული (ჰერალდიკის წესების თანახმად, სიმბოლოს შემობრუნებით სიკეთე ბოროტებად იქცევა, გამარჯვებული – დამარცხებულად, ნათელი – ბნელად, კანონიერი – უკანონოდ...) ხოლო ჰიმნში მესიანურ პრეტენზიას აცხადებდეს „ღმერთთან წილნაყარობაზე", ევროპელებისთვის სატანის სიმბოლოდ მიჩნეულ „ცისკრის ვარსკვლავს" უმღეროდეს (თან, რატომღაც „ორ ზღვას შუა გაბრწყინებულს", მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით ტერიტორია მხოლოდ 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით გვაქვს განსაზღვრული...) და საქართველოს ნაცვლად „თავისუფლებას" ადიდებდეს (ცნობილია, ვინ არის ყველაზე თავისუფალი...).**

უხერხულია, როდესაც ბაკურ სულაკაურის მიერ ბავშვებისთვის გამოცემულ წიგნში („მსოფლიოს დროშები", 2018) საქართველოს დროშის შინაარსი, მართალია, გაცილებით გონივრულად არის ახსნილი („შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს, ხოლო დიდი ჯვარი ქვეყნის მფარველ წმინდანს, წმინდა გიორგის ჯვარს აღნიშნავს"), მაგრამ არსებითად ეწინააღმდეგება, როგორც სახელისუფლო ვერსიებს (ხან გორგასლიანია, ხან თამარიანი, ხან დავითიანი, ხან გიორგი ბრწყინვალის...), ასევე დედაეკლესიისასაც, რომლის წინამძღოლმა ახალი სახელმწიფო დროშის კურთხევისას განაცხადა, რომ მასზე გამოსახული „5 ჯვარი ნიშნავს იესოს ქრისტეს 5 სამსჭვალსო...". ფაქტია ისიც, როგორც ჩანს, მთავრობის მესვეურებიც გრძნობენ უხერხულობას სახელმწიფო სიმბოლოებთან მიმართებით, რის გამოც ახალ პირადობის მოწმობებზე ხუთჯვრიანი სიმბოლო საერთოდ არ არის გამოსახული, ხოლო გერბი იმდენად მცირეა, ფაქტობრივად, შეუძლებელია დადგენა, წმინდანი საითკენ არის მიმართული...

...სწორედ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მონიჭების შემდეგ და საპარლამენტო არჩევნების წინ არის გონივრული ახალი სახელმწიფო სიმბოლიკის შესარჩევი კონკურსის გამოცხადება (თუნდაც არსებული დროშის თაობაზე დისკუსიის დაწყება), ვინაიდან, დარწმუნებული ვარ, მოქალაქეებისთვის სიმართლის თქმა და სახელმწიფოს უპირველესი სიმბოლოს მიმართ სამართლიანობის აღდგენის თუნდაც მცდელობა, გარდა იმისა, რომ დაგვეხმარება „დეპოლარიზაციაში" (ხუთჯვრიან დროშას არც ძალისმიერი გზით დამხობილი ხელისუფლების მხარდამჭერები აღიარებენ და არც „ვარდების რევოლუციის" მოწინააღმდეგეები...), ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ტოტალიტარიმზის ეპოქაში დამკვიდრებული სამართლებრივი ნიჰილიზმის დაძლევას და ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას.

მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ის პროფესორმა თედო დუნდუამაც ჯერ კიდევ 2000 წელს გამოცემულ ბროშურაში („ძელი ცხოვრებისა და მისი ვარიანტები") მკაფიოდ განმარტა, რომ „თეთრ ფონზე" გამოსახული ხუთი ჯვარი კათოლიკური სამყაროს ინტეგრაციული სიმბოლოა და ის ჯვაროსნულ ეპოქაში შეიქმნა...), ძნელი დასაჯერებელია (მაგრამ ფაქტია...), რომ დამოუკიდებლობააღდეგნილი და ევროინტეგრაციაზე ორიენტირებული საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები, ფაქტობრივად, მხოლოდ იმ ერთი კაცის „ხუშტურით" არის დადგენილი, რომელმაც „ღმერთთან წილნაყარი" ქვეყნის მოქალაქეობაზე უარი თქვა და სასამართლო სხდომებზე ხან უკრაინულ ენაზე აკეთებს განცხადებებს და ხან ინგლისურად ...

ფაქტია, მიწაზე კერძო საკუთრების უფლება იმავე სააკაშვილის ინიციატივით („დიაგნოზი" ბატონმა თემურ მირიანაშვილმა ჯერ კიდევ 2001 წელს დაუსვა...), რამდენიმე დღეში ისე დავაკანონეთ (1996 წელს), არც აკადემიის მეცნიერებს მოვუსმინეთ და არც საზოგადოების წარმომადგენლებს. არადა, იქნებ, სახელმწიფო სიმბოლიკასთან მიმართებაში მაინც არ მოვიქცეთ კომუნისტებივით ან ნაცისტებ-ფაშისტებივით და წლების განმავლობაში არ ვატყუოთ ხალხი (კონსტიტუციის თანახმად, „ხელისუფლების წყარო!")!

**არადა, ისიც ფაქტია, საფეხბურთო ნაკრების მიერ ევროინტეგრაციისკენ გადადგმული რეალური ნაბიჯი ისევ „მიშას დროშების" ფრიალით ვიზეიმეთ და ევროპის ჩემპიონატზე გასამართ პირველივე მატჩშიც „ხუთჯვრიანი სიმბოლოთი" მოგვიწევს მორიგი „ისტორიული გამარჯვებისთვის" თურქებთან დაპირისპირება...**



**ავთანდილ კახნიაშვილი,**
**სამართლის დოქტორი.**

## გვექნება რაჭის დაცული ტერიტორიები

**რაჭაში, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლებმა ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები გამართეს.**

რაჭის ეროვნული პარკის განვითარების ხელშეწყობისთვის დაგეგმილი პროექტების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და მათი მიმდინარე პროცესში ჩართვის მიზნით, შეხვედრები გაიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ხონჭიორი, ნიკორწმინდა, ჭელიაღელე, ველევი, ხოტევი, ასევე, ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში: გომი, ჯინჭვისი. შეხვედრის მონაწილეებმა ეროვნული პარკის საზღვრების დაზუსტებისა და დემარკაციის საკითხები განიხილეს. ადგილობრივი თემის წარმომადგენლებმა პროცესში ჩართული კომპეტენტური პირებისგან მიიღეს ამომწურავი პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

რაჭაში შეხვედრები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით, ადგილობრივ მთავრობასთან თანამშრომლობით ჩატარდა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლები შეხვედრებს გამართავენ ყველა თემის და სოფლის დაინტერესებულ წარმომადგენლებთან. შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობა ჩართული იქნება საჯარო განხილვებში. შეხვედრებზე მოსახლეობა დეტალურად გაეცნობა რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნით და გაფართოებით რეგიონში გარემოს დაცვის საკითხებს, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერების შესაძლებლობებს.



ტრიუმფი



# ოქროს ტრიო

**პორტუგალიაში სტარტი აიღო ევროპის ჩემპიონატმა ბატუტზე ხტომაში, სადაც პირველივე დღეს საქართველომ ოქროს მედალი მოიპოვა.**

ყველაფერი დაიწყო გოგონების, ახალგაზრდული გუნდური საკვალიფიკაციო ეტაპით, სადაც ასპარეზობდნენ ნინო ქორიძე, ანა ლაპიაშვილი და მაია ბოჭორიძე. ჩვენმა გოგონებმა ყველას აჯობეს კვალიფიკაციაში და 276.00 ქულით პირველი ადგილი მოიპოვეს. რამდენიმე საათის შემდეგ გაიმართა ფინალური ასპარეზობა და აქაც ჩვენმა გოგონებმა არ დათმეს საკვალიფიკაციო ეტაპზე მოპოვებული პირველი ადგილი და დაეუფლნენ ოქროს მედლებს.

**ვულოცავთ!**

## ◎ რაგბი ჩვენი თამაშია

# ფრანგები დავლეწეთ!

**საქართველოს 18-წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა ექვსი ერის ფესტივალზე დიდი სენსაცია შემოგვთავაზა და ძალიან ძლიერი საფრანგეთის შესაბამისი ასაკობრივი ნაკრები დაამარცხა.**

შეხვედრა ფრანგების უპირატესობით დაიწყო და მათ ტაიმი 19:10 მოიგეს, თუმცა, მეორე ნახევარში უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა" შესანიშნავად ითამაშეს – მეტოქისგან ქულაც არ მიუღიათ, თვითონ კი თითო ლელო, გარდასახვა და ჯარიმა გაიტანეს, რის შედეგადაც 20:19 გაიმარჯვეს. აღსანიშნავია, რომ შველიძემ ლელო მაშინ გაიტანა, როცა დრო უკვე ამოწურული იყო და ანგარიში 18:19 გახადა, ხოლო გიგი სირბილაძემ ის ზუსტად გარდასახა და ამ ზუსტი დარტყმით თამაშიც მოვიგეთ.



საქართველოს ნაკრების რიგებში ლელოები ლევან აზიეშვილის და ანრი შველიძის აქტივშია, ორი ჯარიმა დავით წიკლაურმა, ხოლო გარდასახვა გიგი სირბილაძემ გაიტანეს.

საქართველოს 18-წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა ექვსი ერის ფესტივალზე, რომელსაც იტალიური ქალაქი პარმა მასპინძლობს, წინა ტურში შოტლანდიასთან წააგო, ხოლო 7 აპრილს დასკვნით შეხვედრას ინგლისთან ჩაატარებს.

## ◎ მოვლენის წინ

# თეთრ გუდაურში

**პირველად საქართველოს ისტორიაში, 6-7 აპრილს გუდაურში ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება სნოუბორდში. ღონისძიება საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ეგიდით (FIS) გაიმართება, რომელშიც მსოფლიოს წამყვანი 18 ქვეყნის (შვეიცარია, ავსტრალია, კანადა, ბულგარეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, იტალია, იაპონია, ნიდერლანდები, ნორვეგია, რუმინეთი, სლოვაკეთი, უკრაინა, აშშ და საქართველო) 21 წლამდე ასაკის 80 სპორტსმენი იასპარეზებს.**




საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) მხრიდან ღონისძიებას დაესწრებიან და საორგანიზაციო პროცესებში მონაწილეობას მიიღებენ ტურნირის დირექტორი პიტერ კროგელი და ტექნიკური დელეგატი რიკარდო კიმინაცო.

ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოში პირველად ტარდება. მიმდინარე წლის 3-4 თებერვალს გუდაურმა მსოფლიო თასის ეტაპს სნოუბორდ კროსის დისციპლინაში წარმატებით უმასპინძლა. საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში კიდევ ერთხელ მოექცა და მსოფლიო სპორტულ რუკაზე კვლავ საპატიო ადგილი დაიკავა. სნოუბორდ კროსის დისციპლინაში ღირსეულად ჩატარებულმა მსოფლიო თასმა საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) ყურადღება ჩვენი ქვეყნისადმი ისევ მიიპყრო. სწორედ ამიტომ, გუდაური საერთაშორისო დონის შეჯიბრების ჩასატარებლად კიდევ ერთხელ შეირჩა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე საორგანიზაციო კუთხით.

ღონისძიება პირველად 1997 წელს იტალიაში ჩატარდა. შემდეგ კი მასპინძლები იყვნენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა: ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, შვეიცარია, შვედეთი და სხვა, 2024 წელს კი საქართველომ მოიპოვა ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება.

## ◎ ევრო – 2024

# საბილეთო ციებ-ცხელება

**გულშემატკივრები ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მატჩებზე დასასწრები ბილეთების შეძენას 15 აპრილიდან შეძლებენ,** – ინფორმაციას სფფ-ს პრეს-სამსახური ავრცელებს.

**„უეფა-ს ბილეთების პორტალზე ქართველი გულშემატკივრებისთვის განკუთვნილი 10 000 ბილეთის რეალიზაცია 15 აპრილს 13 საათზე დაიწყება. დეტალურ ინფორმაციას და გზამკვლევს ჩვენი გუნდის გულშემატკივარს უახლოეს დღეებში გავუზიარებთ",** – წერია განცხადებაში.

ბილეთების შეძენა შესაძლებელია ბმულზე http://euro2024.-com/tickets

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ევრო 2024-ზე F ჯგუფში 18 ივნისს თურქეთს შეხვდება, 22 ივნისს – ჩეხეთს, ხოლო 26 ივნისს – პორტუგალიას. ეს მატჩები შესაბამისად დორტმუნდში, ჰამბურგსა და გელზენკირხენში გაიმართება.



**ბილეთის სხვადასხვა კატეგორიის ფასი კი ასეთი იქნება:**

**30 ევრო – 85.20 ლარი,**
**60 ევრო – 170.40 ლარი,**
**150 ევრო – 426 ლარი,**
**200 ევრო – 568 ლარი,**
**400 ევრო – 1136 ლარი.**

## ◎ ლეგიონერი

# 18-ქულიანი წვლილი



საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში **გიორგი შერმადინის** „ლენოვო ტენერიფემ" თურქული „თოფაში" 83:77 დაამარცხა.

ესპანელებმა გადამწყვეტი უპირატესობა ბოლო პერიოდში მოიპოვეს, რომელიც 6 ქულით მოიგეს და გამარჯვებაც ამის ხარჯზე მოახერხეს. გიორგი შერმადინმა 22 წუთში 18 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 7-დან 4 ორქულიანი და 10-დან 10 საჯარიმო ჩააგდო. ჯვაროსანზე უკეთ ესპანურ გუნდში მხოლოდ მარსელინიო უერტასი გაისარჯა, რომელმაც 30 ქულა და 8 პასი დააგროვა. ამ გუნდების საპასუხო მატჩი 10 აპრილს თურქეთში გაიმართება.

## ◎ პოზიცია

# არავითარი პოლიტიზება!

GSSA
ქართული სპორტის მხარდამჭერთა ასოციაცია
GEORGIAN SPORTS SUPPORTERS ASSOCIATION

**ქართული სპორტის მხარდამჭერთა ასოციაცია ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მხარდამჭერი ჰიმნის, სიმღერებისა და შეძახილების პოლიტიზებას არ ემხრობა,** – ამის შესახებ ასოციაცია facebook-ზე განცხადებას ავრცელებს.

**„ქართული სპორტის მხარდამჭერთა ასოციაცია არ ემხრობა ნაკრების მხარდამჭერი ჰიმნის, სიმღერების, შეძახილებისა თუ სხვა ატრიბუტიკის პოლიტიზებას! ყველა თავისუფალია გამოხატოს საკუთარი შეხედულება, თუმცა, გთხოვთ ერის საერთო წარმატებას ნუ გამოვიყენებთ პოლიტიკურად, რაც მოსახლეობას ჰყოფს და კარგავს სპორტული ერთობის მუხტს!",** – ნათქვამია ქართული სპორტის მხარდამჭერთა ასოციაციის განცხადებაში.

## ◎ ტატამზე

# ბრინჯაოს ფინიში

**ზვიად გოგოჭური პარა ძიუდოში ანტალიის 2024 წლის გრან პრის გათამაშების მესამე პრიზიორია.**

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართველმა ფალავანმა მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ბრაზილიელ მოწინააღმდეგეს სძლია და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. ამავე ტურნირზე მესამე ადგილზე ასევე ლაშა ყიზილაშვილი და ზურაბ ზურაბიანი გავიდნენ. ასე რომ, საქართველოს პარა ძიუდოს ნაკრები თურქეთიდან სამშობლოში სამი ბრინჯაოს მედლით ბრუნდება.




## ◎ პრემიერა

# ლეგენდის საკადრისი

**ვიქტორ სანეევი თავად გახლდათ მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი, რომელმაც აფხაზეთში გატარებული რთული ბავშვობა, შთამბეჭდავი სპორტული კარიერა და შეჭირვებული ყოფის გამო ავსტრალიაში ემიგრირებული და გარდაცვლილი სამმხტომელის ბედისწერა დაიტია.**

საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენმა დიდების შარავანდედი ოლიმპიური ოქროს მანამდე ყველასათვის მიუღწეველი სამგზის, თანაც, ზედიზედ მოხვეჭით დაიდგა. გარდა ამისა, ლეგენდარული მძლეოსანი ისტორიაში განსაკუთრებული პიროვნული ღირსებებითა და ჩემპიონის სულითაც დამკვიდრდა.



და აი, სამშობლოს სიამაყის შესახებ შექმნილი ფირის პრემიერა, რაშიც გადამწყვეტი წვლილი მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატმა, რეჟისორმა **გოგი თორაძემ** შეიტანა, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაკვეთას და ჩემპიონის ოჯახის მიერ სხვადასხვა დროს გადაღებული კადრები ერთ მძივად აკინძა. **გმადლობთ, ხელოვანო!**

# განცხადება

**2024 წლის 9 მაისს ჩატარდება „ადამიანის დარღვეული უფლებების აღმდგენი პოლიტიკური პარტიის“ სადამფუძნებლო ყრილობა.**

**დელეგატების რეგისტრაცია 11:00 საათიდან 12:00 საათამდე.**

**ყრილობის დასაწყისი 12:00 სთ-ზე.**

**ყრილობა ჩატარდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული თეატრი-სტუდიის „მოდი ნახეს“ მაყურებელთა დარბაზში.**

**მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ.№69 სტუ. მეორე კორპუსი, მე-3 სართული.**

**ყრილობის მოსამზადებელი საინიციატივო**

ჯგუფის სახელით
**აპოლონ გადელია**
სამართლის აკადემიკოსი. ტელ: 577 469353

## კოოპერატივი „რკ აგრო-ლია 2014“ იწვევს მეპაიეთა საერთო კრებას

**კოოპერატივი „რკ აგრო-ლია 2014“ იწვევს მეპაიეთა საერთო კრებას.**

**დღის წესრიგი: კოოპერატივის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისება.**

**კრება ჩატარდება 2024 წლის 26 აპრილს, 10სთ-ზე მისამართზე: ზუგდიდი, სოფ. ინგირი, თამარ მეფის ქ.16**

# განცხადება
## საჯარო განხილვის შესახებ

### სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - სს „რუსთავის აზოტის“ 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

**2024 წლის 19 აპრილი, 12:00 საათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალი სამგორის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა**

**2024 წლის 19 აპრილი, 15:00 საათი, ქ. რუსთავის მერიის შენობა (მის: კოსტავას ქ. №20)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **26 აპრილის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 28 მარტს.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

# განცხადება
## საჯარო განხილვის შესახებ

### სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - გარდაბნის მუნიციპალიტეტში შპს „ჯასთ პროდაქშენის“ ასფალტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 22 აპრილი, 13:00 საათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ნორიოს ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **26 აპრილის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 2 აპრილს.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

# ყველა ოჯახში მეჩეთი ხომ არ გაიხსნება?



**სად უნდა გაიხსნას ადიგენში მცხოვრები მუსლიმებისათვის კიდევ ერთი სამლოცველო? – ამ მიზნით მუსლიმ თემთან გამართული რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა.**

ადიგენში სალოცავი ერთ-ერთი მოქალაქის, მერაბ მიქელაძის სახლშია მოწყობილი. რელიგიის სააგენტომ მუსლიმ თემს ალტერნატიული ადგილი შესთავაზა, თუმცა სააგენტოს თავმჯდომარის ზაზა ვაშაყმაძის განცხადებით, მათ ყველა წინადადებაზე კატეგორიული უარი მიიღეს. ვაშაყმაძემ აღნიშნა, რომ ადიგენში მინიმუმ 9 მეჩეთი არსებობს და შესაბამისად, მუსლიმთა თემის უფლებები დაცულია.

ამასთან, აღნიშნული მუსლიმური თემი არ ექვემდებარება სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, არამედ ისლამში არსებული ერთ-ერთი მიმდინარეობის მიმდევრები არიან.

ადგილობრივთა განცხადებით, ადიგენის ცენტრში მერაბ მიქელაძემ სახლი რამდენიმე წლის წინ შეიძინა, რომელიც ჯერ მედრესედ, ხოლო შემდეგ მეჩეთად გადააკეთა.

# სემეკში წარსადგენი საჩივრები იუსტიციის სახლშიც მიიღება



**იუსტიციის სახლისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) ერთობლივი პროექტის ფარგლებში კიდევ ერთი სიახლე ამოქმედდა. დღეიდან, სემეკში წარსადგენი საჩივრის ან სხვა განცხადების ჩაბარება და პასუხების მიღება იუსტიციის სახლშია შესაძლებელი.**

აღნიშნული მომსახურების დამატებით იუსტიციის სახლი უკვე სრულად ფარავს ენერგოსექტორში არსებულ ყველა სერვისს. იუსტიციის სახლის თავმჯდომარე ლაშა ლობჯანიძემ სემეკის თავმჯდომარე დავით ნარმანიას იუსტიციის სახლში უმასპინძლა და ახალი მომსახურების მუშაობის პროცესი ადგილზე გააცნო.

აღნიშნული სიახლის მიზანს მოქალაქეებისთვის კომუნალური სერვისების ხელმისაწვდომის გაუმჯობესება წარმოადგენს. კერძოდ, ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის, სასმელი წყლისა და მელიორაციის სექტორის მომხმარებლებს შეუძლიათ მიმართონ სემეკს მომსახურების პირობის დარღვევაზე რეაგირების მიზნით სემეკში წარსადგენი განცხადება-საჩივარი ჩააბარონ იუსტიციის სახლში და ამავდროულად, იუსტიციის სახლში მიიღონ სემეკის მიერ განცხადებაზე გამოგზავნილი პასუხები. აღნიშნული მომსახურება უფასოა.

# ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე 13 პირი დააკავეს, ერთი კი ამხილეს

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს – დაკავებულია 13 პირი, ერთი კი მხილებულია.**

კრიმინალთა დანაშაული სამიდან შვიდ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

# რუსთავის ერთ-ერთი მაღაზიიდან კაცმა ტანსაცმელი მოიპარა

**რუსთავის სავაჭრო ცენტრში არსებული ერთ-ერთი მაღაზიიდან 30 წლამდე კაცმა სხვადასხვა სახის ტანსაცმელი მოიპარა,** – ინფორმაციას გამოცემა „ინფო რუსთავი“ ავრცელებს.

გამოცემა წერს, რომ ადგილზე სამართალდამცავები გამოიძახეს. პოლიციამ კაცი ადგილზე დააკავა. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

# კიბერშეტევა „სილქნეტის“ კომპიუტერულ სისტემაზე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტზე 2001 წელს დაბადებული გ.კ. დააკავეს.

**„კომპლექსურად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულმა გ.კ.-მ პერსონალური მონაცემების დაუფლების მიზნით სს „სილქნეტის“ კომპიუტერულ სისტემაზე კიბერშეტევა განახორციელა. ბრალდებული კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის გზით დაეუფლა აღნიშნული კომპანიის 5000-მდე მომხმარებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ციფრულ ასლს და არალეგალური გზით ცდილობდა მათ ინტერნეტსივრცეში რეალიზაციას“,** – აცხადებენ შსს-ში.

# ზუგდიდში ძალადობის ფაქტზე ორ პირს ბრალდება წარედგინა



**საქართველოს პროკურატურამ ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ფაქტზე ორ პირს ბრალდება წარუდგინა. არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთი პირი „ალტ-ინფოს“ წევრი ზურაბ მახარაძეა.**

ბრალდების წარდგენის შესახებ განცხადება საქართველოს პროკურატურამ გაავრცელა, თუმცა განცხადებაში იმ პირთა ვინაობა, რომელსაც საგამოძიებო უწყებამ ბრალდება წარუდგინა, დაკონკრეტებული არ არის.

**„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 23 მარტს, ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ერთ-ერთმა ბრალდებულმა – ორი პირის, ხოლო მეორე ბრალდებულმა ერთ პირის მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელა.**

**მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ძალადობა, ჩადენილი ჯგუფურად), ხოლო ერთ ბრალდებულს ასევე „გ“ ქვეპუნქტით (ძალადობა, ჩადენილი ორი პირის მიმართ) წარედგინა. პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს“,** – აღნიშნულია განცხადებაში.



# ახალი სასცენო სამოსი „ურმულსა“ და „როკვასთვის“

**კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ანსამბლ „ურმულსა“ და ქორეოგრაფიულ ანსამბლ „როკვას“ საჩუქრად ტრადიციული სასცენო სამოსი გადასცა.**

ახალი სასცენო სამოსი ტენდერით შერჩეულმა კომპანია „ფაფანაკმა“ შეკერა. ანსამბლ „ურმულს“ – 6 ხევსურული, ხოლო „როკვას“ 25 ჩოხა და 12 სასცენო კაბა გადაეცა. ორი ანსამბლისთვის ახალი სასცენო სამოსის შესაკერად კულტურის სამინისტრომ ჯამში 22 500 ლარი გამოყო.

# სოხუმის ელექტროვერსია ეროვნულ არქივში

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ვებგვერდზე გამოფენა „სოხუმი“ უკვე ელექტრონულად არის ხელმისაწვდომი.**

ექსპოზიცია საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული ქალაქის XIX-XX საუკუნეებში გადაღებულ ფოტოებს და სოხუმის ისტორიასთან დაკავშირებულ სხვა საარქივო დოკუმენტებს მოიცავს. ექსპონატებში ასახულია ქალაქის არქიტექტურული განვითარების ისტორია, წარმოდგენილია გამორჩეული ამბები სოხუმის საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრებიდან.




# ოპოზიცია „გაღიმებული“ დარჩება...

სიმღერა „გაიღიმეს“ ტექსტის ავტორი **ირმა სოხაძე** და მუსიკის ავტორი **გია მაჭარაშვილი** განცხადებას ავრცელებენ.

**„მოხარულები ვართ, რომ ჩვენმა სიმღერამ ხალხის მხრიდან ასეთი სიყვარული უკვე მეორედ დაიმსახურა. ბედნიერებას ვერ ვფარავთ იმის გამო, რომ ეს სიმღერა ჯადოსნური აღმოჩნდა ჩვენი ბიჭებისთვის და მათ გამარჯვების საუნდტრეკად დარჩა ისტორიას. ვეხმიანებით, თუმცა ვემიჯნებით ეკა კვესიტაძის ფეისბუქ-სტატუსს. ვაცხადებთ, რომ არ გვსურს, ეს სიმღერა პოლიტიკასთან ასოცირდებოდეს, სწორედ ამიტომ, ვკრძალავთ, ყველანაირ პოლიტიკურ ღონისძიებაში პოლიტიკური მიზნით მის გამოყენებას“** – ნათქვამია განცხადებაში.



ცნობისთვის, სიმღერის მელოდია ერთ-ერთი ტელემარათონისთვის 1991 წელს გია მაჭარაშვილმა დაწერა, ხოლო ტექსტი – ათ წუთში ირმა სოხაძემ. ირმა ამ სიმღერას უფრო ნელი ვერსიით ასრულებდა, რადგან „გაიღიმეს“ ნაცვლად იყო სიტყვა „დაიძინე“ და იავნანის სტილში იმღერებოდა. შემდეგ კი მერაბ სეფაშვილმა იმღერა საცეკვაო სტილში.



# ავსტრიული მედია და ჩვენი სათხილამურო კურორტები

**საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ავსტრიიდან ინფლუენსერებსა და ჟურნალისტებს უმასპინძლა. პრესტურის ფარგლებში საქართველოს პოპულარული სათხილამურო გამოცემის downdays.eu ჟურნალისტი კრისტიან შტადლერი, ცნობილი მოთხილამურე და ინფლუენსერი ტაო კრაიბიხი, ასევე ფოტოგრაფები, ვიდეოგრაფები და ინფლუენსერები: კლემენს ბართლი, გაბრიელ კოშიერი და სტი გორენგი ეწვივნენ. ტურის ფარგლებში ინფლუენსერებმა სვანეთში იმოგზაურეს, გაეცნენ სათხილამურო ტურისტულ ინფრასტრუქტურას, მოიარეს მესტია და უშგული. ინფლუენსერები თეთნულდიდან და უშბიდან თხილამურებით დაეშვნენ.**

ტურის ფარგლებში სვანეთის სამთო-სათხილამურო კურორტების შესახებ სოციალურ ქსელებში ვიდეორგოლები, სიუჟეტები, პოსტები, სთორები, ხოლო გამოცემისთვის downdays.eu სტატია მომზადდება.

# მთვარეზე დროის ერთიანი სტანდარტი იქნება



**აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ NASA-ს და სხვა უწყებებს კოორდინირებული მთვარის დროის დანერგვის გეგმის შექმნა დაავალა.**

მთვარეზე დროის ერთიანი სტანდარტი დროის ეტალონი გახდება მთვარის კოსმოსური აპარატებისა და თანამგზავრებისთვის, რომლებისთვისაც ამოცანების შესრულებისას სიზუსტე ძალიან მნიშვნელოვანია. გეგმა 2026 წლის ბოლოსთვის უნდა იყოს მზად. NASA-ში განმარტავენ, რომ დედამიწაზე შექმნილი საათების მუშაობას მთვარეზე განსხვავებული სიჩქარე ექნება და თანამგზავრზე მყოფი ადამიანისთვის დღე-ღამის განმავლობაში 58,7 მიკროწამი დაიკარგება. ამასთან, შესაძლებელია სხვა გადახრებიც. აშშ მთვარეზე ასტრონავტების დაშვებას 2026 წლის სექტემბერში გეგმავს, მანამდე კი, 2025 წელს 4 ასტრონავტი მთვარის გარშემო ფრენაში მიიღებს მონაწილეობას.

# სიბრძნე სიცილისა...

- **სიბნელე** სინათლეზე გაცილებით სწრაფად ვრცელდება;
- **აღტაცებულის** მოტყუება ბევრად უფრო ადვილია;
- **ღიპი** რომ გამოებერება კაცს, ბის გამობმაზე ოცნება ძალიან დაგვიანებულია;
- **იმედი** ბოლოს კვდება. სისულელე კი მუდამ უკვდავია;
- **ომი** რომ დამთავრდება, თავშესაფრებიდან გამოძვრებიან ხოლმე მისი „გმირები“;
- **მშობლები** – ეს ისეთი ჩინებული მოწყობილობაა, რომელთა მართვა ბავშვებსაც კი შეუძლიათ;
- **გახსოვდეს:** ლუდის მოსატანად თუ გაგაგზავნიან, ესე იგი ძალიან გენდობიან!
- **როცა** წვიმის მოსვლას ლოცულობ, მზად უნდა იყო გუბეებში სასიარულოდ.



* * *

**ცხოვრება** – ესაა შუალედი ექიმთა მიერ წარმოთქმულ ორ ფრაზას შორის: „ეს ასაკობრივია, ნუ გეშინიათ, მალე გაგივლით!“ და „ეს ასაკობრივია, ალბათ, უკვე აღარ გაგივლით!?

* * *

**დიდ თანამდებობებზე** მუდამ ერთგულებს ნიშნავენ, მოთხოვნით კი როგორც ჭკვიანებს ისე სთხოვენ!

* * *

**მიმოწერა** ინტერნეტ-ჩატიდან „გავიცნოთ ერთმანეთი“: „ჩემო უცნობო ქალბატონო, პაემანი რომ გვექნება, როგორ უნდა გიცნოთ იმდენ ხალხში“? „რომ დამინახავ – გაგიჟდები!“

* * *

**მანდილოსნებო,** თუკი ნასვამმა მეუღლემ შუაღამისას სხვა სახელი დაგიძახათ, ნუ იწყენთ – უმალვე ალერსიანად გამოელაპარაკეთ. იცოდეთ, არ ინანებთ?


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 8 აპრილს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7000; ევრო - 2.9214;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3974;
100 რუბლი - 2.9277; თურქული ლირა - 0.0844;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5884;
1000 სომხური დრამი - 6.7788

**ამინდი 5 აპრილისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3, | დღე +19 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +6, | დღე +21 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე +21 |
| თბილისი: | ღამე | +9, | დღე +21 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge